

ოჯახში კალაძობის მსხვერპლ ქალთათვის უინაგან
საქმეთა სამინისტროს სერვისების მიწოდებისას
არსებული გამოწვევები
კოვიდ-19-ის პანდემიის დროს





British Embassy
Tbilisi



UKaid
from the British people



Sapari / საფარი



მომზადებულია ორგანიზაცია „საფარის“ მიერ გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ის ხელშეწყობით. გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების თვალსაზრისს.

შინაარსი

მოკლე შინაარსი.....2

შესავალი/პრობლემის მიმოხილვა.....5

კვლევის მიზანი და ამოცანები.....10

მეთოდოლოგია, მეთოდები და შერჩევა.....10

კვლევის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.....12

კვლევის თვისებრივი მონაცემების მიგნებები და ინტერპრეტაცია.....16

ოჯახში ძალადობის მიზეზები და ფორმები კოვიდ-19-ის დროს..... 16

მსხვერპლი ქალების გამოწვევები კოვიდ-19-ის დროს..... 18
 ტრანსპორტირება/გადაადგილება..... 18

მსხვერპლი ქალების ქცევა და შეფასებები კოვიდ-19-ის დროს 19
 მიმართვიანობა ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებში 20
 შსს-ს რეაგირება ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე..... 21
 კოვიდ-19-თ გამოწვეული სიფრთხილე 22
 პოლიციელის მიერ პირადი ტელეფონის გამოყენების შემთხვევები 22
 “112”-ის მობილური აპლიკაცია 23
 ურბანული და რურალური განსხვავებები 24

“112”-ის, პატრულის, გამომძიებლისა და ექსპერტიზის საქმიანობა კოვიდ-19-ის დროს..... 24
 “112” კოვიდ-19-ის დროს 24
 საპოლიციო საქმიანობა კოვიდ-19-ის დროს 26
 სათადარიგო გამომძიებელი..... 28
 დისტანციური გამოკითხვის შეუძლებლობა 29
 შემაკავებელი ორდერი..... 30
 ექსპერტიზა 31
 კოვიდ-19-ის პირობებში დაწესებული რეგულაციების შესრულება..... 31
 არსამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა 33
 ეთნიკური უმცირესობები 34

კოვიდ-19-ის საპასუხოდ განხორციელებული ნაბიჯები 34
 ელექტრონული ფოსტის პრობლემა..... 36

დასკვნა და რეკომენდაციები.....38

მოკლე შინაარსი

აღნიშნული კვლევის მიზანია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესების ხელშეწყობა, საჯარო მმართველობის მიმდინარე რეფორმის ფარგლებში. კერძოდ, კვლევის მთავარი ამოცანებია; 2020 წლის მარტი-ივნისის პერიოდში (შემდგომში „კოვიდ-19-ის პერიოდში“) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა განწყობის შესწავლა, შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში შსს), მათ შორის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“ (შემდგომში „112“) მუშაობასთან დაკავშირებით და მათი მომსახურების გაწევისას, კოვიდ-19-ის გავრცელების შედეგად წარმოქმნილი გამოწვევების იდენტიფიცირება. კვლევის ფარგლებში, ინფორმაცია შეგროვდა რაოდენობრივი მეთოდოლოგიის, სატელეფონო და პირისპირი გამოკითხვის მეთოდისა და თვისებრივი მეთოდოლოგიის – ფოკუს-ჯგუფისა და სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდების გამოყენებით. საყურადღებოა, რომ კვლევის მონაცემები რეპრეზენტატული არ არის და კოვიდ 19-ის პერიოდში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს სრულად არ ასახავს. ამასთანავე, ანგარიშში მიმოხილული გამოწვევები, შესაძლოა, მხოლოდ კვლევის რესპონდენტებისთვის იყოს რელევანტური.

კვლევამ, კოვიდ-19-ის პანდემიის ფონზე, ოჯახში ძალადობის მიზეზები და ფორმები გამომჟღავნა. რესპონდენტების მონათხრობის მიხედვით, შესაძლოა, პანდემიის პერიოდი განსაკუთრებით რთული იმ სოციალურად დაუცველი ფენის ქალებისთვის აღმოჩნდა, რომლებიც სხვადასხვა სავაჭრო ობიექტებში და ბაზრობებზე მუშაობდნენ. ამ ობიექტების დახურვის შემდეგ, ისინი ფაქტობრივად შემოსავლის გარეშე დარჩნენ, რამაც, გარკვეულ შემთხვევებში, მოძალადე ქმრებისა და შვილების აღელვება და მათ მიმართ აგრესიის გამძაფრება გამოიწვია. რესპონდენტების თანახმად, ოჯახებში, სადაც შემომტანი ან ერთადერთი მარჩენალი ქალი იყო, სწორედ ის აღმოჩნდა ძალადობის მსხვერპლი. ამავე დროს, ფოკუს-ჯგუფის მონაცემებმა აჩვენა, რომ საქართველოში კოვიდ-19-ის გამო შექმნილმა რეალობამ ოჯახში ძალადობის ფენომენი, შესაძლოა, სოციალურად დაუცველი ფენის ოჯახების გარდა, საშუალო და მაღალ ფენებშიც წარმოქმნა. სამსახურების დახურვამ და ადამიანების ერთ სივრცეში გამოკეტვამ, შესაძლოა, მათ შორის კონფლიქტის რისკი გაზარდა, მიუხედავად მათი ფენობრივი კუთვნილებისა. როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემების მიხედვითაც, კოვიდ-19-ის პერიოდში, ოჯახში ძალადობის ყველაზე გავრცელებულ ფორმებად ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა დასახელდა. თუმცა, მათ ეკონომიკური და სექსუალური ძალადობის ფორმებიც დაემატა. მაგალითად,

რაოდენობრივი კვლევის შედეგად გამოკითხულთა 74% – ფსიქოლოგიური, 67% – ფიზიკური, 19% – ეკონომიკური, 11% – სექსუალური, ხოლო 4% – იძულების მსხვერპლია (შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხის მონიშვნა).

კვლევამ ის პრობლემები და გამოწვევები გამოავლინა, რომლის წინაშეც ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები აღმოჩნდნენ, კოვიდ-19-ის პანდემიის დროს. რესპოდენტების მონათხრობის საფუძველზე, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად ოჯახში ძალადობის მსხვერპლების ტრანსპორტირება/გადაადგილება გამოიკვეთა. გამომდინარე იქიდან, რომ პოლიცია დისტანციურად არ მუშაობდა, მსხვერპლებს, გამოკითხვისა და საგამომიებო მოქმედებების ჩატარებისას, პოლიციის შენობაში მისვლა უწევდათ. ქალები კი, საჯარო ტრანსპორტის არარსებობის პირობებში, ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, ვერ ახერხებდნენ პოლიციის სამმართველოებამდე მისვლას. შედეგად, მათი აზრით, საქმის გამოძიება ფერხდებოდა.

შსს-ს წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კოვიდ 19-ის პერიოდში, „112“ მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადავიდა. კერძოდ, 2020 წლის თებერვლიდან ოქტომბრამდე, არსებულ ოპერატორებს 70-მდე ახალი კადრი დაემატა, ხოლო ნოემბრის თვეში, ე. წ. „მეორე ტალღის“ დროს – 230 ოპერატორი. გარდა ამისა, პანდემიით გამოწვეული მოლოდინის რეჟიმის შესამცირებლად და საპოლიციო სერვისების უწყვეტ რეჟიმში მიწოდების მიზნით, „112“ დაიყო სამ არხად: – „112“ – სასწრაფო სამედიცინო გადაუდებელი დახმარება; „112/1“ – პოლიცია და სახანძრო/სამაშველო სამსახური, და „112/2“ – COVID 19 და ვირუსული სიმპტომები. მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებებისა, ოჯახში ძალადობის ზოგიერთი მსხვერპლის მოსაზრებით, პრობლემას „112“-ის სატელეფონო ხაზის გადატვირთვა წარმოადგენდა.

კვლევამ ასევე ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების ქცევა შეისწავლა, კერძოდ, ვის მიმართეს ძალადობის შემთხვევაში დასახმარებლად – „112“-ს, პირდაპირ პოლიციას, თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს. გამოკითხულთა 44% ამბობს, რომ ძალადობის შემთხვევის შემდეგ დარეკა „112“-ში, ხოლო 56% აცხადებს, რომ არ დაურეკავს. გამოკითხულთა 35% არ დარეკვის მიზეზად უნდობლობას ასახელებს; 18% – დაგვიანებულ უკუკავშირს; 30% – კი, ინფორმირებულობის ნაკლებობას. ადვოკატების მოსაზრებით, კოვიდ-19-ის პერიოდში, მსხვერპლები პოლიციის ნაცვლად, ხშირად, ქალთა უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს მიმართავდნენ.

ადვოკატები ფიქრობენ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციაში მიმართვიანობის მიზეზი, შესაძლოა, იყოს მსხვერპლების სურვილი, ჯერ მიიღონ კვალიფიციური კონსულტაცია ადვოკატისგან და მხოლოდ შემდეგ გადაწყვიტონ, რა ნაბიჯები გადადგან და მიმართონ თუ არა სამართალდამცავ ორგანოებს, შემდგომი რეაგირებისათვის. რაოდენობრივმა მონაცემმაც დაადასტურა ეს მოვლენა, კერძოდ, მსხვერპლი რესპონდენტები ამჯობინებენ ჯერ სიტუაციაში გარკვევას არასამთავრობო ორგანიზაციის დახმარებით, და შემდეგ უკვე პოლიციისთვის, მიმართვას (გამოკითხულთა 27%-მა, თავდაპირველად, ქალთა უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციას მიაკითხა).

კვლევამ კოვიდ-19-ის პერიოდში პოლიციის მიერ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის გაწეული მომსახურება და ამ მიზნით განხორციელებული საქმიანობა შეისწავლა. გამოკითხული რესპონდენტების 51% ამბობს, რომ კოვიდ-19-ის გამო დაწესებულმა რეგულაციებმა და შეზღუდვებმა გარკვეული ნეგატიური გავლენა იქონია პოლიციის მუშაობაზე. გამოკითხულ მსხვერპლთა 88% ამბობს, რომ პოლიციელები და გამომძიებლები დისტანციურად არ/ვერ მუშაობდნენ, შსს-ს წარმომადგენლები კი ამბობენ, რომ კანონმდებლობით შეუძლებელია გამომძიებისა და გამოკითხვის დისტანციურად ჩატარება. გამოკითხულთა 28% აღნიშნავს, რომ მათი საქმის გამომძიებელი მოხვდა კარანტინში/თვითიზოლაციაში და მას არ ჰყოლია შემცველი. გარდა ამისა, ოჯახში ძალადობის არც ერთი მსხვერპლი, რომელმაც მიიღო მონაწილეობა კვლევაში, არ ფლობდა ინფორმაციას, დანერგა თუ არა შსს-მ მსხვერპლების მომსახურების გასაუმჯობესებლად რაიმე ტიპის დისტანციური სერვისი. კვლევამ დაადგინა, რომ „112“-ის მობილური აპლიკაციის შესახებ რესპონდენტებს სრული ინფორმაცია არ აქვთ. იურისტების მოსაზრებით, კოვიდ-19-ის პერიოდში ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირება და გამომძიების პროცესი, გარკვეულ შემთხვევებში, არ იწყებოდა სწორედ პანდემიის არსებობის მიზეზით, რაც, მათი აზრით, შესაძლოა პოლიციის გარკვეული წარმომადგენლების არაეფექტურ მუშაობაზე მიუთითებდეს.

კვლევამ კოვიდ-19-ის პერიოდში, ოჯახში ძალადობის შემთხვევების წინააღმდეგ, შსს-ს მიერ განხორციელებული ნაბიჯები შეისწავლა და შეაფასა. პირველ რიგში, აღსანიშნავია შსს-ს მიერ მომზადებული საინფორმაციო ვიდეორგოლი, რომელიც განკუთვნილი იყო ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის, ასევე გარკვეულ ეტაპზე „112“-ის არხებად დაყოფა, რაც, კონკრეტულად ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის განხორციელდა. თუმცა, კვლევის მიხედვით, კოვიდ-19-ის ხანგრძლივი პერიოდის

მიუხედავად, შსს-ს მიერ სერვისების განხორციელების ფორმების მოდიფიცირება და პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების მიმართ რეაგირება და სერვისების ან პროცესების შესაბამისი შეცვლა, შესაძლოა, მინიმალურად განხორციელდა. გამოწვევებს შორის იყო: გამოძიების გაჭიანურება, პასუხისმგებელ პირთა დაინფიცირების შედეგად მათი შემცვლელების სიმცირე და კონსულტაციის ან გამოკითხვის დისტანციურად ჩატარების შეუძლებლობა. რესპონდენტთა მოსაზრებით, სახელმწიფოს მხრიდან, ასევე არ მომხდარა მათი მდგომარეობის შესწავლა და პანდემიის გამო არსებული გამოწვევების შესახებ ინფორმაციის მოძიება. დასასრულს უნდა აღნიშნოს, რომ კოვიდ-19 პანდემია მოულოდნელი და განსაკუთრებული მასშტაბის გამოწვევაა, რომელმაც არაერთი სირთულე შექმნა როგორც სახელმწიფო, ისე სხვა სექტორებში. თუმცა, მიუხედავად ამ სირთულეებისა, მოქალაქეთათვის საბაზისო სერვისების მიწოდება და, განსაკუთრებით კი, ოჯახში ძალადობის ან მსგავსი ტიპის სისხლისსამართლებრივ დანაშაულებზე რეაგირება და საგამოძიებო პროცესის ეფექტური წარმართვა არ უნდა შეფერხდეს. წინამდებარე კვლევა, სწორედ ამ მიზანს ემსახურება – პირველ რიგში, ხაზი გაუსვას ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვის პროცესში კოვიდ-19-ით გამოწვეულ და- ბრკოლებებს და, სამომავლოდ, ხელი შეუწყოს, ამ გამოწვევების გადაჭრას, სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის მიერ.

შესავალი/პრობლემის მიმოხილვა

სტრუქტურულ სოციალურ ფაქტორებს, მათ შორის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ კრიზისებსა და პანდემიებს, ოჯახში ძალადობასა და სხვა გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე თავიანთი გავლენა აქვთ. სტრუქტურული თეორია ოჯახში ძალადობას სოციალური სტრუქტურის შემადგენელ ნაწილად თვლის და მას სიღარიბის, უმუშევრობის, უსახლკარობის, იზოლაციისა და ეკოლოგიური ფაქტორების შედეგად გამოწვეულ სტრესსა და დამაბულობაზე ადამიანების რეაქციას უკავშირებს.¹ ითვლება, რომ ოჯახები, რომლებსაც დასაქმების დაბალი მაჩვენებელი და მცირე ფინანსური შემოსავალი აქვთ, შესაბამისად, მიეკუთვნებიან დაბალ სოციალურ ფენას, უფრო მოწყვლადები არიან სტრუქტურული დამაბულობებისა და კატასტროფების მიმართ, რის გამოც სხვა ტიპის (საშუალო და მაღალი ფენა) ოჯახებზე მეტად გამოცდიან ხოლმე ოჯახში ძალადობას.²

¹ Hongwei Zhang, The Influence of the Ongoing COVID-19 Pandemic on Family Violence in China, Journal of Family Violence, Springer Science+Business Media, LLC, part of Springer Nature 2020, pp. 1;

² Ibid, pp. 1-2;

ამ სოციალურ ფენობრივ დისკურსში მნიშვნელოვანია, არ დაიკარგოს ოჯახური ძალადობის გენდერული მხარე. ერთი შეხედვით, ოჯახში ძალადობა ნეიტრალური ტერმინია, რომელიც არ მიუთითებს რომელიმე გენდერის მეორე გენდერზე არსებულ უპირატესობას, მაგრამ სინამდვილეში თითქმის ყოველთვის გამოიხატება, როგორც გენდერული დანაშაული, სადაც უმეტესად მსხვერპლი ქალია, ხოლო დამნაშავე კი - კაცი.³

რატომ ხდება ასე?

პანდემიას, როგორც საყოველთაო ჯანმრთელობის კრიზისსა და კატასტროფას, ხშირად თან ახლავს უარყოფითი ემოციები, როგორებიცაა სიბრაზე, შფოთვა, დეპრესია და პოსტტრავმული სტრესული აშლილობა (PTSD). ეს უარყოფითი ემოციები და შესაბამისად, ოჯახში ძალადობა, გამოწვეულია დაინფიცირების შიშით, სოციალური იზოლაციით, არაადეკვატური სამედიცინო სერვისებითა და სამუშაო ადგილების/შემოსავლის დაკარგვით, რომელიც წესით, ღარიბი და დაბალი ფენის ოჯახის ყველანაირი გენდერის მქონე ადამიანს უნდა ახასიათებდეს⁴, მაგრამ მაიკლ კიმელის მიხედვით ძალადობას გენდერი აქვს და პატრიარქალური საზოგადოება მხოლოდ კაცებს აძლევს საშუალებას, სტრესი გამოხატონ პირდაპირი ძალადობის ფორმით⁵. არსებობს კვლევები, სადაც მოცემულია, თუ როგორ იზრდება ოჯახში ძალადობის რიცხვი მასშტაბური კატასტროფების დროს. უფრო კონკრეტულად, როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ოჯახში ძალადობა ბუნებრივი კატასტროფების (მიწისძვრები, წყალდიდობა და ქარიშხლები) შედეგად იზრდება. გარდა ამისა, ბუნებრივ კატასტროფებს თან ახლავს განქორწინების, ქალებისა და ბავშვებზე ძალადობის რისკების ზრდა⁶. კვლევების მიხედვით, პანდემიების დროსაც ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის მაჩვენებელი მატულობს.⁷ 2020 წლის 21 მარტიდან, კოვიდ-19-ის გავრცელების გამო დაწესებულმა შეზღუდვებმა, ხოლო შემდეგ საგანგებო მდგომარეობამ, ადამიანების ერთ სივრცეში გამოკეტვამ, მთელი მსოფლიოს მასშტაბით ოჯახური და ქალთა/გოგონათა მიმართ ძალადობის შემთხვევები 1/3-ით გაზარდა (მაგალითად, საფრანგეთში ოჯახში ძალადობის შესახებ შეტყობინების რიცხვი კარანტინის გამოცხადების შემდეგ 30%-ით გაიზარდა, არგენტინაში - 25%-ით,

³ Ibid, pp. 2-3.

⁴ Hongwei Zhang, The Influence of the Ongoing COVID-19 Pandemic on Family Violence in China, Journal of Family Violence, Springer Science+Business Media, LLC, part of Springer Nature 2020, pp 1-4;

⁵ Michael Kimmel, The Gendered Society, Fourth Edition, The Gender of Violence, Oxford, 2008, pp. 381-408;

⁶ <https://georgia.unfpa.org/en/news/pandemic-rages-women-and-girls-face-intensified-risks-7>

⁷ World Health Organization, COVID-19 and violence against women, 26 მარტი, 2020; UN Women, COVID-19 and Ending Violence Against Women and Girls.

კვიპროსში - 30%-ით, სინგაპურში - 33%-ით).⁸ ოჯახში ძალადობის ეს ზრდა იმდენად კრიტიკულია, რომ მას მკვლევრები ხშირად ”ორმაგ პანდემიასა” და ”ახალ კრიზისსაც” უწოდებენ.⁹

ამ სტრუქტურულ ფენომენში, ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ის არის, რომ პანდემიით გამოწვეულ საყოველთაო დაბნეულობასა და პანიკაში ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები უყურადღებოდ რჩებიან სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან, მაშინ როცა მათ სწორედ ამ პერიოდში სჭირდებათ განსაკუთრებული დახმარება და ყურადღება. ამ უყურადღებობას, შესაძლოა, ის კულტურული და გენდერული სტერეოტიპები იწვევს, რომლებიც თითქმის ყველა თანამედროვე საზოგადოებაში პატრიარქატის გამო არსებობს.

აღნიშნული სტერეოტიპების მიხედვით, თანამედროვე საზოგადოებებში მამაკაცები ქალებზე აღმატებულებად ითვლებიან და თითქმის ყველგან ხალხურ სიბრძნედ ითვლება, რომ „ოჯახში ძალადობა ოჯახშივე უნდა მოგვარდეს“ და პოლიციის ჩარევა საჭირო არ არის.¹⁰ ასეთი პატრიარქალური იდეოლოგია ისე ღრმად არის ჩადებული საზოგადოებების დიდი ნაწილის სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტში, რომ ოჯახური ძალადობა ხშირად განიხილება, როგორც კონკრეტული ოჯახის და არა მთლიანად საზოგადოების პრობლემა.

მსგავსი მდგომარეობა არის საქართველოშიც. კვლევაში, “საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში”, გამოკითხულთა უმრავლესობა (63%) თვლის, რომ კარგი ცოლი უნდა დაემორჩილოს მეუღლეს, მაშინაც კი, როდესაც არ ეთანხმება მას. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს ქალების 56% და მამაკაცების 72%. ასევე, რესპონდენტების საკმაოდ დიდი ნაწილი (44%) ეთანხმება დებულებას, რომლის თანახმად, მნიშვნელოვანია, კაცმა აჩვენოს ცოლს/პარტნიორს ვინ არის სახლში უფროსი.¹¹ პანდემიის დროს, ოჯახში ძალადობის რიცხვის ზრდასთან ერთად, შესაძლოა პატრიარქალურ საზოგადოებაში არსებული ზემოთ განხილული გენდერული სტერეოტიპები (კაცი ქალზე უპირატესი არსებაა, ოჯახში ძალადობა ოჯახის გარეთ არ უნდა გავიდეს, ცოლ-ქმარმა თავად უნდა მოაგვაროს პოლიციის დახმარების გარეშე ოჯახში არსებული პრობლემა და ა. შ.)

⁸ European Parliament, [COVID-19: Stopping the rise in domestic violence during lockdown](#), 7 აპრილი, 2020; UN Women, [COVID-19 and Ending Violence Against Women and Girls](#).

⁹ Hongwei Zhang, *The Influence of the Ongoing COVID-19 Pandemic on Family Violence in China*, Journal of Family Violence, Springer Science+Business Media, LLC, part of Springer Nature 2020, p. 2;

¹⁰ Hongwei Zhang, *The Influence of the Ongoing COVID-19 Pandemic on Family Violence in China*, Journal of Family Violence, Springer Science+Business Media, LLC, part of Springer Nature 2020, pp. 1-4;

¹¹ “საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში”, UNDP, ACT, თბილისი, 2013, გვ. 20.

მძაფრდება, რის გამოც ძალადობის მსხვერპლ ქართველ ქალებს ორმაგი ჩაგვრის გამოცდა უწევთ. ერთი მხრივ, მოძალადე ოჯახის წევრი ჩაგრავს მათ და მეორე მხრივ - საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები, რომელთა მატარებელი, შესაძლოა, ის სახელმწიფო სტრუქტურებია, რომლებიც მსხვერპლთა უფლებებს უნდა იცავდნენ. შესაძლოა, საპოლიციო საქმიანობა და პოლიციელები თავად ატარებენ იმ გენდერულ სტერეოტიპებს, რომელიც ოჯახში ძალადობას ახალისებს და კვლავაწარმოებს.

პანდემიის დროს, ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს დაუყოვნებლივი და ინტენსიური მხარდაჭერა სჭირდებათ, როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სტრუქტურების მხრიდან. აუცილებელია, რომ სხვადასხვა სოციალურმა სააგენტოებმა და სახელმწიფო დაწესებულებებმა პანდემიამდე არსებული ფუნქციები განაახლონ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად არსებული სერვისების, მათ შორის საპოლიციო საქმიანობის ახალ რეალობაზე მორგება. აუცილებელია ოჯახში ძალადობის მსხვერპლების მომსახურებისათვის კონკრეტული პოლიტიკის შემუშავება, პოლიციელების, გამომძიებლებისა და მოსამართლეების ცოდნისა და გენდერული მგრძობელობის დონის გაზრდა ოჯახში ძალადობის საქმეებზე. შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა შეისწავლოს პანდემიის დროს ოჯახში ძალადობის გამოძიების საქმეებთან დაკავშირებული გამოწვევები და მათთან გასამკლავებლად ახალი გეგმები დასახოს.

პანდემიისას გაზრდილ ოჯახში ძალადობასთან გასამკლავებლად, მსოფლიოს მასშტაბით, სახელმწიფოსა და არასახელმწიფო აქტორების მხრიდან მიზანმიმართულ ჩარევას აქვს ადგილი. ზოგ ქვეყანაში პოლიცია საპოლიციო საქმიანობისას არსებულ ონლაინ პროგრამებს, მაგალითად WhatsApp-ს იყენებს, ზოგიერთმა კი შექმნა ახალი მყისიერი შეტყობინების უფასო პროგრამები. მათგან გარკვეული ნაწილი მიზნად ისახავს პოლიციელების ცნობიერების ამაღლებას, ზოგი კი აუმჯობესებს მსხვერპლთა გადაუდებელი დახმარების სერვისებს. შეიქმნა მთელი რიგი თანამედროვე ტექნოლოგიებზე მორგებული აპლიკაციებისა და ონლაინ პროგრამები, რომლებიც უშუალო დახმარებას სთავაზობენ მსხვერპლებს. კარანტინის პერიოდში ქართულ ენაზე ითარგმნა და ჩაეშვა მსგავსი მობილური აპლიკაცია Safe You, რომელიც ქალებისთვის ხელმისაწვდომს ხდის მრავალფეროვან ინფორმაციას, უფასო დახმარებას და განგაშის შეტყობინების გაგზავნის შესაძლებლობას როგორც ორგანიზაციებისათვის, ისე - მათი ახლობლებისათვის.¹² ბევრ ქვეყანაში შეიქმნა

¹² დეტალური ინფორმაცია Safe You შესახებ იხილეთ ოფიციალურ გვერდზე: <https://safeyou.space>;

ინოვაციური პლატფორმები, რომლებიც არ საჭიროებენ მობილურ ტელეფონებსა და ინტერნეტს.

კოვიდ-19-ის პერიოდში ოჯახში ძალადობის მსხვერპლების მიმართ სახელმწიფო სერვისების, მათ შორის საპოლიციო საქმიანობის გამოკვლევის, შესწავლისა და შეფასების აუცილებლობა საქართველოშიც გაჩნდა. დაიგეგმა და ჩატარდა კვლევა, რომლის შედეგები და რეკომენდაციები სახელმწიფოს არსებულ გამოწვევებთან მიმართებით ადეკვატური და მონაცემებზე დაფუძნებული ნაბიჯების გადადგმაში დაეხმარება. აღნიშნული კვლევა განახორციელა კავშირმა „საფარმა“, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით. აღსანიშნავია, რომ კავშირი „საფარი“ 2017 წლიდან ახორციელებს USAID-ის მიერ დაფინანსებულ პროექტს „ქალთა უფლებების დაცვა“, რომლის მიზანია ქალებისა და გოგონების უფლებების დაცვა სტრატეგიული სამართალწარმოების, იურიდიული დახმარებისა და ცნობიერების ამაღლების გზით. ბოლო 4 წლის განმავლობაში, „საფარმა“ განახორციელა 2000-მდე იურიდიული კონსულტაცია და 1000-მდე სამართალწარმოება. კოვიდ-19-ის გავრცელების შემდეგ, „საფარის“ ცხელი ხაზისა და ფეისბუქ გვერდის მომართვიანობა წინა კვარტლებთან (2019 წლის სექტემბერი-დეკემბერი, 100 კონსულტაცია) შედარებით გაიზარდა. საფარის იურისტებს მხოლოდ 2020 წლის მარტი-ივნისის პერიოდში 131 სატელეფონო და ონლაინ კონსულტაციის განხორციელება მოუწიათ. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოში კოვიდ-19-ის დროს, ოჯახში ძალადობაზე პოლიციასთან მიმართვიანობის რიცხვი და შემაკავებელი ორდერების რაოდენობა დიდად არ გაზრდილა¹³. შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფო სერვისები, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი “112” (შემდგომში “112”), პატრული და ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები ან არ მუშაობდნენ კვლევის რესპონდენტ მსხვერპლებზე მორგებულად, ან რესპონდენტებს არ ჰქონდათ ნდობა ამ სამსახურების მიმართ და ისინი არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას ამჯობინებდნენ.

წინამდებარე კვლევა მნიშვნელოვანია ზოგადად ქალთა მიმართ კოვიდ-19-ის დროს ოჯახში ძალადობის შესასწავლად, ამასთანავე, ის ეხმარება საჯარო მმართველობის რეფორმას, რომლის ერთ-ერთი ამოცანა სახელმწიფო სერვისების, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო სერვისების მიწოდების დახვეწაა. ამ მიმართულებით, რეფორმის მიზანია: საქართველოში სერვისების მიწოდების სისტემის იმდაგვარად გაუმჯობესება, რომ იგი მოქალაქეებზე ორიენტირებული და

¹³ შემაკავებელი ორდერების რაოდენობა: 2019 წელი - 5521 - 2020 წელი - 5699;

კარგად მართული იყოს, ასევე საქართველოს ყველა მოქალაქე ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სერვისებით უზრუნველყოს.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია, საჯარო მმართველობის რეფორმის „სახელმწიფო სერვისების მიწოდების“, კერძოდ, პანდემიის დროს (მარტი-ივნისი, 2020 წელი) ოჯახში ძალადობის საქმეებთან მიმართებით შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში შსს-ს) საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შეგროვების ხელშეწყობა, ხოლო **ამოცანებს** წარმოადგენს:

- კოვიდ-19-ის პერიოდში ოჯახში ძალადობის მსხვერპლების განწყობის შესწავლა შსს-სა, მათ შორის, “112“-ის მუშაობასთან დაკავშირებით;
- იმ გამოწვევებისა და პრობლემების დადგენა/შესწავლა, რომელიც კოვიდ-19-ის გავრცელებამ განაპირობა შსს-სა და “112“-ის მუშაობის პროცესში.

კვლევას აქვს ქვე-ამოცანებიც:

- კოვიდ-19-ის დროს ოჯახში ძალადობის არსებული მიზეზებისა და ფორმების დადგენა;
- იმ პრობლემებისა და გამოწვევების დადგენა, რომლის წინაშეც ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები აღმოჩნდნენ კოვიდ-19-ის პანდემიის დროს;
- ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალების ქცევის (ვის მიმართავს დასახმარებლად ძალადობის შემთხვევაში - “112“-ს, პირდაპირ პოლიციას, თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს) შესწავლა;
- კოვიდ-19-ის დროს ოჯახში ძალადობის საქმეებისას პოლიციის, საპოლიციო საქმიანობის, გამომძიებლის, გამოძიებისა და პოლიციის განყოფილებების საქმიანობების შესწავლა;
- კოვიდ-19-ის პირობებში ოჯახში ძალადობის მომატებული შემთხვევების დროს არსებული პრობლემებისა და გამოწვევების წინააღმდეგ, შსს-ს მიერ განხორციელებული ნაბიჯების დადგენა და შეფასება.

მეთოდოლოგია, მეთოდები და შერჩევა

პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის შესაგროვებლად გამოყენებულია სოციალური კვლევის როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მეთოდები. პირველ რიგში, ჩატარდა ორი ფოკუს-ჯგუფი. პირველზე მოწვეულნი იყვნენ საფარის, PHR-ის, ძდექისა და საიას იურისტები/ადვოკატები, ხოლო მეორეზე - შსს-ს თანამშრომლები, პოლიციელები, გამომძიებლები, პრესცენტრისა და მონიტორინგის სამსახურის

წარმომადგენლები. საერთო ჯამში, ფოკუს-ჯგუფებს დაესწრო 20 რესპონდენტი, 10 იურისტი/ადვოკატი და 10 პოლიციელი. იურისტებმა ისაუბრეს ოჯახური ძალადობის იმ შემთხვევების შესახებ, რომლებთანაც შეხება ჰქონდათ 2020 წლის მარტიდან ივნისის ჩათვლით, მაშინ როდესაც ქვეყანაში გამოცხადდა პანდემიასთან დაკავშირებული პირველი საგანგებო მდგომარეობა. ხოლო შსს-ს თანამშროლებმა ისაუბრეს საკუთარი და შსს-ს საქამიანობების შესახებ კოვიდ19-ის პერიოდზე (მარტი-ივნისი, 2020 წელი) ფოკუსით.

ფოკუს-ჯგუფების დასრულების შემდეგ, შემუშავდა რაოდენობრივი გამოკითხვის სტრუქტურირებული ანკეტა და ჩატარდა **სატელეფონო და პირისპირი გამოკითხვა** ბენეფიციარებთან. ბენეფიციარების შესარჩევად გამოყენებულია ორგანიზაცია საფარის მსხვერპლთა აღრიცხვის ელექტრონული ბაზა¹⁴, სადაც მოცემული იყო ბენეფიციართა ტელეფონები და ელ.ფოსტა. შერჩევის მეთოდად გამოყენებულია მარტივი ალბათური შერჩევა. კვლევის დროს სულ გამოკითხა 103 რესპონდენტი, საიდანაც საბოლოოდ კვლევისთვის გამოსადეგი აღმოჩნდა 76 სატელეფონო და პირისპირი ინტერვიუ. დაცულია 90%-იანი ნდობის დონე. კვლევის შედეგების განხორციელება 2020 წლის მარტი-ივნისის პერიოდში ოჯახში ძალადობის ყველა მსხვერპლზე შეუძლებელია, ვინაიდან, რესპონდენტების უმრავლესობა წარმომადგენდა მხოლოდ საფარის, საიას და ძდექის ბენეფიციარებს და მათ გარდა, არსებობენ სხვა მსხვერპლებიც, რომლებიც შესაძლოა მსგავსი, ან განსხვავებული პრობლემების წინაშე დადგნენ პანდემიის პერიოდში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კვლევა ჩატარებულია ფემინისტური თვალთახედვით, რომელიც მიზნად ქალთა ჩაგრული ჯგუფების, ამ შემთხვევაში ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების სუბიექტური გამოცდილებების შეგროვების ხელშეწყობას ისახავს და მისი ამოცანა, მხოლოდ რეპრეზენტატული რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება არ არის. სწორედ ამიტომ, გარდა რაოდენობრივი გამოკითხვისა, კვლევის ფარგლებში ჩატარდა 15 სიღრმისეული ინტერვიუ, ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით საფარის, ძდექისა და საიას ბენეფიციარებთან, 1 სოციალურ მუშაკთან და 1 იურისტთან. სიღრმისეული ინტერვიუს რესპონდენტების შესარჩევად გამოყენებულია არაალბათური, მიზნობრივი შერჩევის მეთოდი.

ანკეტირებისა, და პირისპირი ინტერვიუების შედეგად შეგროვებული სოციოლოგიური ინფორმაცია დამუშავდა რაოდენობრივად, პროგრამა spss-ს გამოყენებით, შერჩევის მცირე მოცულობის გამო განხორციელდა ერთცვლადიანი

¹⁴ დამატებით გამოყენებული იქნა „ძდექისა“ (ძალადობის დაცვის ეროვნული ქსელი) და „საიას“ (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია) მონაცემები.

ანალიზი, ხოლო თვისებრივი ინფორმაცია გაანალიზდა ნარატიული ანალიზის (რესპონდენტების მონაყოლზე დაფუძნებით, იურისტმა და სოციოლოგმა შეაფასეს, რა სახის პრობლემების წინაშე იდგა შსს და ოჯახში ძალადობის მსხვერპლები კოვიდ-19-ის პირობებში) გამოყენებით.

კვლევის აუდიტორია, რომელიც გამოიყენებს კვლევის შედეგებსა და რეკომენდაციებს, იქნება როგორც შსს-ს და მის სერვისებზე პასუხისმგებელი სამსახურები, ასევე ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც ოჯახური ძალადობის მსხვერპლებთან უწყვეტ მუშაობა. გარდა ამისა, შესაძლებელია, კოვიდ-19-ის ტალღა რამდენჯერმე განმეორდეს და არ არის გამორიცხული, სახელმწიფოს ისევ მოუწიოს შეზღუდვებისა და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება. შესაბამისად, აღნიშნული კვლევის შედეგები და მონაცემები სასარგებლო იქნება სამომავლო ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ძალადობის ფაქტებზე ნაყოფიერი რეაგირებისა და ბრძოლისათვის არსებული სტრატეგიის გასაუმჯობესებლად.


და ბოლოს, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, კვლევის დროს შემუშავდა მეთოდოლოგია, რომელიც შემდეგ შეიძლება კიდევ უფრო დაიხვეწოს და გამოყენებული იყოს, როგორც საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში, კერძოდ მოქალაქეთა კმაყოფილების კვლევების განხორციელების მეთოდოლოგიის მაგალითად. შესაბამისად, კვლევას აქვს როგორც პრაქტიკული/გამოყენებითი, ასევე თეორიული მნიშვნელობა.

კვლევის მთავარ შეზღუდვას წარმოადგენდა თავად კოვიდ-19-ის გამო არსებული შეზღუდვები, საგანგებო მდგომარეობა და პირისპირი კომუნიკაციის შესაძლებლობის არარსებობა. სწორედ ამიტომ, ფოკუს-ჯგუფები და სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა დისტანციურად, პროგრამა ზუმის გამოყენებით.


შემდეგ თავებში ამოცანებისა და ქვეამოცანების მიხედვით, მოცემულია კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების ანალიზი და ინტერპრეტაცია. თავდაპირველად მოცემულია რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

კვლევის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

კვლევის დროს გამოკითხული რესპონდენტების 59% 15-35 წლის, ხოლო 41% - 35+ ასაკის ადამიანია. გამოკითხულთა 100% მდედრობითი სქესის ადამიანია.



მათგან 76% თბილისში ცხოვრობს, ხოლო 24% - რეგიონში. ძალადობის სახეების მიხედვით, რესპონდენტთა პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: გამოკითხულთა 74% ფსიქოლოგიური, 67% ფიზიკური, 19% ეკონომიკური, 11% სექსუალური, ხოლო 4% იძულების მსხვერპლია. კოვიდ-19-ის პერიოდში ყველაზე მეტად ოჯახში ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა ხდებოდა.



კვლევა ცდილობდა, გაერკვია, რამდენად ენდობიან ოჯახში ძალადობის მსხვერპლები შსს-ს სერვისებს, კონკრეტულად “112”-ს და რამდენად რეკავენ დასახმარებლად, ან პატრულის გამოსამახებლად “112”-ზე ძალადობის შემთხვევის დროს.

გამოკითხულთა 44% ამბობს, რომ დარეკა ძალადობის შემთხვევის შემდეგ “112”-ში, ხოლო 56% ამბობს, რომ არ დაურეკავს. ის რესპონდენტები, რომლებიც პასუხობდნენ,

რომ არ დარეკეს “112”-ში, აფიქსირებდნენ პასუხს, თუ რატომ არ დარეკეს. გამოკითხულთა 35% არ ენდობა “112”-ს და ამიტომ არ დარეკა. 18% თვლის, რომ აზრი არ აქვს “112”-ში დარეკვას, ვინაიდან დიდი ხნის შემდეგ პასუხობენ ზარს; 30% ამბობს, რომ ინფორმაცია არ ჰქონდა, როგორ მოქცეულიყო და ამიტომ არ დარეკა; 27% ამბობს, რომ მეგობრის რჩევით, ჯერ არასამთავრობო ორგანიზაციას მიაკითხა, სიტუაციაში კარგად რომ გარკვეულიყო; გამოკითხულთა 10%-მა პირდაპირ პოლიციაში წასვლა ამჯობინა. სტატისტიკურად უმნიშვნელო პასუხებიდან საინტერესოა: „არ ვემხრობი პოლიციაში დარეკვას“; „არ მინდოდა ჩივილი“ და „მოდალადე მედგა თავზე“. აღნიშნული პასუხები დიდი შერჩევის შემთხვევაში შესაძლოა სტატისტიკურად მნიშვნელოვან მონაცემად გადაიქცეს.

იმ რესპონდენტების 71%, ვისაც ზოგადად “112”-ით უსარგებლია, უკმაყოფილოა “112”-ის მიერ გაწეული სერვისით. ისინი უკმაყოფილების ძირითად მიზეზად ასახელებდნენ დიდი ხნით ლოდინს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც “112”-ს მიება კოვიდ-19-ის ცხელი ხაზიც.

შსს-ს წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კოვიდ 19-ის პერიოდში, “112” მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადავიდა. კერძოდ, 2020 წლის თებერვლიდან ოქტომბრამდე, არსებულ ოპერატორებს 70-მდე ახალი კადრი დაემატა, ხოლო ნოემბრის თვეში, ე. წ. „მეორე ტალღის“ დროს – 230 ოპერატორი. გარდა ამისა, პანდემიით გამოწვეული მოლოდინის რეჟიმის შესამცირებლად და საპოლიციო სერვისების უწყვეტ რეჟიმში მიწოდების მიზნით, “112” დაიყო სამ არხად: – “112” – სასწრაფო სამედიცინო გადაუდებელი დახმარება; “112/1” – პოლიცია და სახანძრო/სამაშველო სამ- სახური, და “112/2” – COVID 19 და ვირუსული სიმპტომები. მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებებისა, ოჯახში ძალადობის ზოგიერთი მსხვერპლის მოსაზრებით, პრობლემას “112”-ის სატელეფონო ხაზის გადატვირთვა წარმოადგენდა.

რესპონდენტების 42% ამბობს, რომ 10-15 წუთში, ხოლო 58% ამბობს, რომ 15 წუთზე მეტი დროის შემდეგ მოვიდა დანაშაულის ადგილზე პატრული. მათგან 63%, ვინც გამოიძახა პატრული, უკმაყოფილოა ეკიპაჟის მიერ გაწეული სერვისით. გამოკითხულთა 70%-ს ზუსტად არ ახსოვს, შეავსო თუ არა პოლიციამ რისკების შეფასების კითხვარი. თუმცა, ამას იმით ხსნიან, რომ შესაძლოა, აღელვებულ მდგომარეობაში იყვნენ და შეიძლება, კარგად არ დაუკვირდნენ ამ ფაქტს. გამოკითხულთა უმრავლესობა - 85% ამბობს, რომ გამოიცა შემაკავებელი ორდერი და მათი 100% თვლის, რომ მათ თავად სურდათ ამ ორდერის გამოცემა.

გამოკითხული რესპონდენტების 51% ამბობს, რომ კოვიდის გამო დაწესებულმა რეგულაციებმა და შეზღუდვებმა ნეგატიური გავლენა იქონია პოლიციის მუშაობაზე და ეს გავლენა შემდეგ ფაქტორებში გამოიხატა:

- **დროის რესურსის ფაქტორი** - მაგალითად, დროში გაიწელა გამოძიება, ექსპერტიზა, დაკითხვები;
- **ადამიანური რესურსის ფაქტორი** - მაგალითად, ყრუ/სმენადაქვეითებული ადამიანების თარჯიმნები იყვნენ იზოლაციაში და ვერ მოხერხდა მათი სხვა კოლეგით ჩანაცვლება და გამოძიების გაგრძელება;
- **ტრანსპორტირების/მოზილობის ფაქტორი** - მაგალითად, კოვიდ-19-ის დროს დისტანციური, ონლაინ გამოკითხვის ფორმატი არ დანერგილა. შესაბამისად, მსხვერპლებს მისვლა უწევდათ პოლიციის სამმართველოებში. საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერების შემდეგ ამ უკანასკნელთათვის შეუძლებელი გახდა პოლიციაში მისვლა, ხოლო მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ხშირად ფეხით უწევდათ კილომეტრების გავლა);
- **ცხელი ხაზის გადატვირთვის ფაქტორი** - მაგალითად, კოვიდის გამო “112” გადაიტვირთა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს ხანგრძლივი დროის მანძილზე უწევდათ მოცდის რეჟიმში ყოფნა;
- **კულტურული ფაქტორი** - მაგალითად, რესპონდენტების გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ პოლიციელები კოვიდ-19-ის გარეშეც გულგრილები, გენდერულად უგრძობელნი, ცინიკურები და ინდიფერენტულები არიან გენდერული, ოჯახში ძალადობის საქმეების მიმართ, რაც კოვიდ-19 დროს მეტად თვალსაჩინო გახდა;
- **არასამთავრობო ორგანიზაციების ფაქტორი** - მაგალითად, რესპონდენტების მიხედვით, თუ გამოძიების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი ერთვება, პოლიციელები საპოლიციო საქმიანობის დროს უფრო დაკვირვებულნი ხდებიან, განსაკუთრებით - რეგიონებში).

გამოკითხულ მსხვერპლთა 79% პოლიციაში იმყოფებოდა გამოკითხვაზე, მათგან 62% აღნიშნავს, რომ პოლიციელებს ნიღაბი ეკეთათ; ხოლო 66% ამბობს, რომ ხელები სპეციალური ხსნარით დაუმუშავეს. გამოკითხულთა 47%-ის მიხედვით, პოლიციელები დისტანციას არ იცავდნენ პოლიციის შენობაში.

საინტერესო იყო პოლიციელების დამოკიდებულების შეფასება რესპონდენტების მიერ ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე კოვიდ-19-ის დროს. გამოკითხულთა 39% ამბობს,

რომ პოლიციელებს ჰქონდათ შემდეგი პოზიცია: „რა დროს ოჯახური ძალადობა და პოლიციის გამომძიება პანდემიის დროს?!“.

კვლევა ცდილობდა, გაერკვია, მუშაობდნენ თუ არა ქართველი პოლიციელები/გამომძიებლები დისტანციურად კოვიდ-19-ის პირობებში დაწესებული საგანგებო სიტუაციების დროს. გამოკითხულთა 88% ამბობს, რომ პოლიციელები და გამომძიებლები დისტანციურად არ მუშაობდნენ. შსს-ს წარმომადგენლები ამბობენ, რომ კანონმდებლობით შეუძლებელია გამოძიებისა და გამოკითხვის დისტანციურად ჩატარება. გამოკითხულ მსხვერპლთა 28% აღნიშნავს, რომ მათი გამომძიებელი მოხვდა კარანტინსა და იზოლაციაში და მას არ ჰყოლია შემცველი.

გამოკითხული რესპონდენტების 100%-ს არ აქვს ინფორმაცია, დანერგა თუ არა შსს-მ მსხვერპლების მომსახურების გასაუმჯობესებლად რაიმე ტიპის დისტანციური სერვისი. კვლევამ დაადგინა, რომ “112“-ის მობილური აპლიკაციის შესახებ რესპონდენტებს ინფორმაცია არ აქვთ.

კვლევა ასევე ცდილობდა, გაერკვია, ხომ არ სცადა შსს-მ არსებულ მსხვერპლებთან დაკავშირება და მათი გამოკითხვა, თუ რა გამოწვევები და სირთულეების წინაშე იდგნენ ოჯახური ძალადობის მსხვერპლები კოვიდ-19-ის პირობებში დაწესებული შეზღუდვებისა და საგანგებო მდგომარეობის გამო. გამოკითხულთა 100% ამბობს, რომ მსგავსი გამოკითხვა შსს-ს არ ჩაუტარებია.

კვლევის თვისებრივი მონაცემების მიგნებები და ინტერპრეტაცია

მსხვერპლებთან, ადვოკატებთან, პოლიციელებთან და სოციალურ მუშაკებთან შეგროვებული თვისებრივი პირველადი სოციოლოგიური მონაცემების ნარატიული ანალიზი და ინტერპრეტაცია კვლევის დასაწყისში მოცემული ქვეამოცანების მიხედვით განხორციელდა.

ოჯახში ძალადობის მიზეზები და ფორმები კოვიდ-19-ის დროს

კვლევას პირველ რიგში, კოვიდ-19-ის პანდემიის ფონზე ოჯახში ძალადობის მიზეზებისა და ფორმების დადგენა აინტერესებდა. როგორც შესავალში იყო მოცემული, ოჯახში ძალადობა შეიძლება სტრუქტურული ფაქტორების,

უმუშევრობისა და სიღარიბის შედეგი იყოს. ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ერთ-ერთი ადვოკატი რესპონდენტის მიხედვითაც, პანდემიის პერიოდი განსაკუთრებით რთული იმ სოციალურად დაბალი ფენის ქალებისთვის აღმოჩნდა, რომლებიც მარკეტებში, მოლესა და ბაზრობებზე მუშაობდნენ; ამ ობიექტების დახურვის შემდეგ კი ისინი ფაქტიურად შემოსავლის გარეშე დარჩნენ, რამაც მოძალადე ქმრებისა და შვილების აღელვება და მათ მიმართ აგრესიის გამძაფრება გამოიწვია. ოჯახებში, სადაც შემომტანი, ან ერთადერთი მარჩენალი ქალი იყო, შესაძლოა სწორედ ის აღმოჩნდა ძალადობის მსხვერპლი. ამავე დროს, ფოკუს-ჯგუფის მონაცემებმა აჩვენა, რომ საქართველოში კოვიდ-19-ის გამო შექმნილმა რეალობამ ოჯახში ძალადობის ფენომენი დაბალი ფენის ოჯახების გარდა, საშუალო და მაღალ ფენებშიც წარმოქმნა. სამსახურების დახურვამ და ადამიანების ერთ სივრცეში გამოკეტვამ, მათ შორის კონფლიქტის რისკი გაზარდა, მიუხედავად მათი ფენობრივი კუთვნილებისა.

ისევე, როგორც რაოდენობრივის, თვისებრივი მონაცემების მიხედვითაც, კოვიდ-19-ის პერიოდში ოჯახში ძალადობის ყველაზე გავრცელებულ ფორმებად **ფსიქოლოგიური** და **ფიზიკური ძალადობა** დასახელდა. თუმცა, **ეკონომიკური** და **სექსუალური** ძალადობის ფორმებიც დასახელდა.

ერთ-ერთი ადვოკატის თქმით, პანდემიის დროს განსაკუთრებული სიხშირით ეკონომიკურმა ძალადობამ იჩინა თავი, რომლის დროსაც ოჯახის ერთი წევრი მეორე წევრს საერთო სარგებლობის და საკუთრების ნივთების გამოყენებას უკრძალავდა. მაგალითად, მოძალადე ქმრებმა ცოლებს იმ ნივთების გამოყენება აუკრძალეს, რომლებიც მათ საერთო საკუთრებაში შედიოდა. თანასაკუთრების ნივთებისა და მემკვიდრეობის უფლებით სარგებლობით შეზღუდვის ფაქტები გახშირდა. აღსანიშნავია, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლმა ქალებმა მამა-პაპისეულ სახლებში დაბრუნება ვერ შეძლეს. დედმამიშვილებმა, ან მშობლებმა ისინი უკან არ მიიღეს, ვინაიდან თვლიდნენ, რომ „გათხოვილ ქალს მამა-პაპისეულ სახლში აღარაფერი ესაქმება“. ერთ-ერთი ადვოკატი ამბობს: „სამწუხაროდ არაერთი საქმე გვაქვს, როდესაც მამამ, მამამ, დედამ ქუჩაში დატოვა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალი.“ ასევე, ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით: „კოვიდ-19-ის პერიოდში 100 ქალიდან დაახლოებით 25 ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლია“.

ადვოკატების ფოკუს-ჯგუფზე გამომჟღავნდა, რომ პანდემიის დროს სექსუალური ძალადობისა და პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციისა და ფოტოების გავრცელების საქმეებმა მოიმატა. მათი თქმით, ეს ადამიანების სახლში გამოკეტვამ გამოიწვია, რის გამოც ურთიერთობებმა ვირტუალურ, სოციალურ სივრცეში

გადანაცვლა. სასიყვარულო შეხვედრების ნაცვლად, ადამიანები ერთმანეთს „ჩეთში“ უგზავნიან ეროტიკული შინაარსის ფოტოებსა და ვიდეოებს. ამ მოვლენით მოძალადე კაცებმა ისარგებლეს და მსხვერპლების ფოტოებითა და ვიდეოებით დაშანტაჟება დაიწყეს.

კვლევამ გამოამჟღავნა ზოგადად სექსუალური ძალადობის საქმეების გამოძიების პრობლემა საქართველოში. ერთ-ერთმა ადვოკატმა სახალხო დამცველის ანგარიშში მოცემული სტატისტიკა გაიხსენა: სქესობრივ ძალადობაზე განხორციელებული ასობით ზარიდან, განაჩენამდე საქმეების მხოლოდ მცირე ნაწილი მივიდა. ადვოკატების თქმით, სქესობრივი ძალადობის შემთხვევებისას პოლიცია, გამოძიება და პროკურატურა მხოლოდ პირდაპირ მტკიცებულებებს ითხოვს, რომელიც ასეთი ტიპის დანაშაულებისას ძნელად მოსაპოვებელია, ხოლო პირდაპირი მტკიცებულებების არარსებობის გამო გამოძიება ფერხდება, გამომძიებლები აღარაფერს აკეთებენ და ძალიან ინერტულები ხდებიან. საქმეები არ იხსნება. რესპონდენტების თქმით, პოლიციელები, გამომძიებლები და პროკურატურა ფიზიკური ძალადობის დროს უფრო ფრთხილად და ფხიზლად იქცევა, ვიდრე სქესობრივი ძალადობის შემთხვევებისას. რესპონდენტის მიხედვით ძალადობის ამ ფორმასთან მიმართებით, შესაძლოა მათი მგრძობელობა დაბალია.

მსხვერპლი ქალების გამოწვევები კოვიდ-19-ის დროს

ტრანსპორტირება/გადაადგილება

რესპონდენტების მონათხრობით გამოჩვენდა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რის წინაშეც მსხვერპლები აღმოჩნდნენ კოვიდ-19-ის პანდემიისას, არის ოჯახში ძალადობის მსხვერპლების ტრანსპორტირება/გადაადგილება. პოლიცია დისტანციურად არ მუშაობდა, ისინი მსხვერპლებს პოლიციის შენობაში მისვლას სთხოვდნენ გამოკითხვისა და საგამომიებო მოქმედებების ჩასატარებლად, ქალები კი საჯარო ტრანსპორტის არარსებობის პირობებში, ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ვერ ახერხებდნენ პოლიციის სამმართველომდე მისვლას. შედეგად, საქმის გამოძიება ფერხდებოდა.

„პოლიცია მეუბნება, ზეგ მოდი ჩვენთან, პოლიციაშიო, მაგრამ იქ როგორ მივიდე, მეც არ ვიცი, იმიტომ რომ ტრანსპორტთან პრობლემებია, ხო? და... თავისთავად მსხვერპლი ხელს იქნევს უკვე“ (მსხვერპლი რესპონდენტი).

„მაშინ მოხდა ეს შემთხვევა, ოთხ ბავშვთან ერთად და მე მომიწია ფეხით მისვლა პოლიციასთან“ (მსხვერპლი რესპონდენტი).

ტრანსპორტირების პრობლემა განსაკუთრებით მძიმედ დგას სოფლებში. სოციალური მუშაკი ამბობს, რომ მსხვერპლისა და მოწმეთა გამოკითხვა ვერ ხერხდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეზღუდვის გამო.

„დაკითხვები ვერ ხერხდება, სოფლებიდან ვერ ჩამოდის ხალხი და სოფლებშიც როგორი წყობაა იცით? ხუთ სოფელს ერთი პოლიციის განყოფილება აქვს. რეალურად ეს სოფლები ისეა გაფანტული, რომ სახლიდან პოლიციამდე ტრანსპორტის გარეშე ფეხით ვერ მივა“ (სოციალური მუშაკი).

ტრანსპორტირების პრობლემა არსებობს დიდ ქალაქებშიც, მაგალითად თბილისშიც:

„რეალურად შორს ხარ, ვერ მიხვალ. ნუ, რამდენს ივლი რამდენ კილომეტრს. მე დღეს უნდა გავიარო 2 კილომეტრი, მაგრამ რა ვქნა, იმიტომ რომ ყველა საქმე, რაც შსს-ში გაქვს, ხო? არის ისეთი, რომ ვადებში უნდა ჩაეტიო“ (მსხვერპლი რესპონდენტი).

მსხვერპლები ამბობენ, რომ ტრანსპორტირების/გადაადგილების პრობლემას სრულიად გადაჭრის გამოძიებისას დისტანციური გამოკითხვის მეთოდის დანერგვა.

„არ მესმის აზრი, რატომ არ უნდა იყოს ონლაინ პოლიციაში დაკითხვა. ჯერ თვითონაც უფრო მეტი დაცულები იქნებიან, ჩვენც უფრო მეტი დაცულები ვიქნებით. იქ ცალკე ფინანსური კრიზისია, რომ ტაქსის გარდა ვერაფრით ვერ მიხვალ იმ განყოფილებამდე“ (მსხვერპლი რესპონდენტი).

მსხვერპლი ქალების ქცევა და შეფასებები კოვიდ-19-ის დროს

შემდეგი ამოცანა, რომლის შესწავლასაც კვლევა ეცადა, არის ქალი მსხვერპლების ქცევა ოჯახში ძალადობის შემთხვევებისას. ერთ-ერთმა იურისტმა განაცხადა, რომ კოვიდ-19-ის პერიოდში შსს-სთან მსხვერპლების მიმართვიანობა საგრძნობლად არ გაზრდილა, იმიტომ რომ სავარაუდოდ მათ მოძალადეები ედგნენ თავზე და ისინი ვერ

ახერხებდნენ პატრულის გამოძახებას. იურისტების თქმით, ასევე ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მსხვერპლი შეგნებულად არ დაუკავშირდა პოლიციას. რესპონდენტის განცხადებით, მსხვერპლები და მოძალადეები კოვიდის დროს რიგდებოდნენ და ერთმანეთთან კონფლიქტს კოვიდ-19-ის პანდემიას აბრალებდნენ. ერთ-ერთი ორგანიზაციის იურისტის მიხედვით, მსხვერპლთა მიმართვიანობამ პოლიციაში იმიტომ არ მოიმატა, რომ ქალებმა მოითმინეს ოჯახში ძალადობის ფაქტები და თავი შეიკავეს პანდემიის პირობებში კონფლიქტის გამწვავებისგან.

„მქონდა მოლოდინი, რომ შსს-სთან მიმართვიანობა გაიზრდებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქალები „გაგებით მოვიდნენ“ ამ მდგომარეობას. <...> ბრწყალებში ვიძახი გაგებით მოვიდებას ამ შემთხვევაში, უბრალოდ იფიქრეს, რომ მოდი, ეხლა ცოტა ხანი იქნება ეს საგანგებო მდგომარეობა, მოვითმენ ძალადობას და მერე, თუ გამწვავდება, მოვახდენ რეაგირებასო“ (ადვოკატი რესპონდენტი).

პოლიციელები ადვოკატების მსგავსად ამბობენ, რომ მსხვერპლებს მოძალადეები ეცოდებათ, რაც ოჯახში ძალადობის საქმის გამოძიების გაგრძელების ხელისშემშლელი ფაქტორია.

„კიდევ ერთ ვერსიას ვიტყვი, რაღაცნაირად თითქოს სინდრომია ეს, რომ ეცოდებათ მოძალადე. ანუ, ძალიან ბევრი შემთხვევაა, როდესაც თავიდან თითქოს გაბრაზებულები არიან, უფრო მონდომებულები, რომ კი, მე ამას დავაღწევ თავს. <...> მაგრამ შემდეგ, ბოლო ეტაპზე რომ არიან, ეცოდებათ, „არ მინდა, რომ დაიჭირონ, არა, ცოდოა, ჩემი შვილების მამას ამას როგორ გავუკეთებ და ა. შ.“ (პოლიციელი რესპონდენტი).

მიმართვიანობა ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებში

ადვოკატების თანახმად, კოვიდ-19-ის დროს მსხვერპლები პოლიციის ნაცვლად ქალთა უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს მიმართავდნენ. მათი თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციაში დარეკვის დროს მსხვერპლები ემოციურად თავისუფლები არიან და არ ფიქრობენ, რომ მათ ქცევას მოძალადის, რომელიც მათი ქმარი, შვილი ან შეყვარებულია, მყისიერი დაკავება მოჰყვება. ასევე, სამართლებრივ საკითხებზე ინფორმაციის ნაკლებობის გამო ურჩევნიათ ჯერ კვალიფიციური

კონსულტაცია მიიღონ ადვოკატისგან და შემდეგ გადაწყვიტონ, რა ნაბიჯები გადადგან სამართლებრივად. რაოდენობრივმა მონაცემმა დაადასტურა ეს მოვლენა. მსხვერპლი რესპონდენტები ამჯობინებენ ჯერ სიტუაციაში გარკვევას არასამთავრობო ორგანიზაციის დახმარებით და შემდეგ პოლიციასთან მიმართვას. გარდა ამისა, მსხვერპლები, რომლებიც ვერ რეკავდნენ პოლიციაში, ფეისბუქის გვერდზე წერდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებს და მათივე თხოვნით, ამ ორგანიზაციის იურისტები მიმართავდნენ პოლიციას. ადვოკატი რესპონდენტების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ მსხვერპლები მიმართავდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებს, მათგან მესამედზე არ წასულა პოლიციაში საჩივრებად.

როგორც ზემოთ იყო მოცემული, მსხვერპლებს ოჯახში ძალადობის შემთხვევის შემდეგ ურჩევნიათ კონტაქტი პირველად არასამთავრობო ორგანიზაციასთან ჰქონდეთ, სამართლებრივ საკითხებზე მცირე ინფორმაციის ქონის გამო, ვიდრე თავიდანვე მიმართონ პოლიციას. ეს პოლიციელებისა და ადვოკატების მიერ გადმოცემულ ინფორმაციასთან თანხვედრაში მოდის.

„ანუ, მჭირდებოდა კონსულტაცია, რა როგორ ხდებოდა და წარმომადგენელი რომ მყოლოდა პოლიციასა და სასამართლოში და ესე უბრალოდ არ მივსულიყავი ბავშვით ხელში. იმიტომ მივმართე არასამთავრობო ორგანიზაციას“.

შსს-ს რეაგირება ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე

პოლიციელების ფოკუს-ჯგუფზე გამომქლავნდა, რომ კოვიდის პერიოდში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მიერ პოლიციასთან მიმართვიანობა მხოლოდ 2%-ით გაიზარდა. ამ მოვლენას პოლიციელები ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ შეს-ს მკაცრი პოლიტიკით ხსნიან.

„მომართვიანობა იმიტომ არ გაიზარდა, რომ ცნობადი გახდა მოსახლეობისთვის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ძალიან მკაცრ პოლიტიკას ატარებს, რა თქმა უნდა, პროკურატურასთან ერთად. ყველასთვის თითქმის ცნობილია, მოძალადის დაკავება ხდება, ამიტომ მსხვერპლები ფიქრობენ, მე რომ დავრეკო პოლიციაში, ალბათ ჩემს ქმარს, ან ოჯახის წევრს დააკავებენო“ (პოლიციელი რესპონდენტი).

ფოკუს-ჯგუფზე ერთ-ერთმა პოლიციელმა თქვა, რომ კოვიდ-19-ის პერიოდში, ოჯახში ძალადობის რაოდენობის მატების ზრდის მაჩვენებელი მსხვერპლთა მიმართვიანობის

ნაცვლად, შემაკავებელი ორდერების რაოდენობა შეიძლება იყოს. მისი თქმით ამ უკანასკნელის რიცხვი ოდნავ გაიზარდა კოვიდ-19-ის პერიოდში.

პოლიციელების მიხედვით, მათსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის მსხვერპლთა მიმართვიანობის განსხვავება ამ ორი სტრუქტურის თვისებებიდან გამომდინარეობს. არასამთავრობო ორგანიზაციისთვის მიმართვა მსხვერპლისთვის ყოველთვის უფრო კონსულტაციასთან შეიძლება იყოს ასოცირებული, ან მხარდაჭერის მიღებასთან, მაშინ როდესაც სამართალდამცავ ორგანოს როდესაც მიმართავს, იცის, რომ სამართლებრივი რეაგირება მოჰყვება და შეიძლება, მოძალადე დააკავონ, რაც მსხვერპლისთვის ყოველთვის უფრო რთულად გადასადგმელი ნაბიჯია.

კოვიდ-19-თ გამოწვეული სიფრთხილე

პოლიციელები და გამომძიებლები ამბობენ, რომ შესაძლოა, კოვიდ-19-ის გავრცელებამ მსხვერპლთა პოლიციაში მიმართვიანობა შეამცირა. ერთ-ერთი პოლიციელის ინფორმაციით, მსხვერპლები კოვიდით დაინფიცირების შიშის გამო თავს არიდებენ პოლიციაში მისვლას. ასევე, ისინი ხშირად კარს არ უღებენ შემაკავებელი ორდერის მონიტორინგის მიზნით ოჯახში ძალადობის შემთხვევის ადგილზე მისულ სამართალდამცავს.

„პირველი ის, რომ თავს არიდებდნენ პოლიციაში მოსვლაზე. ხშირ შემთხვევაში, მართლწესრიგის ოფიცერსაც, ინსპექტორსაც მიუკითხვებია ბინაზე და კარი არ გაუღიათ. ეშინიათ, რომ ინფექცია არ გადაედოთ“ (პოლიციელი რესპონდენტი).

პოლიციელის მიერ პირადი ტელეფონის გამოყენების შემთხვევები

იურისტების ფოკუს-ჯგუფზე გამომჟღავნდა ერთი საინტერესო მოვლენა, პოლიციელები მსხვერპლებს აძლევენ პირად ნომერს და თხოვენ ოჯახში ძალადობის შემთხვევაში პოლიციის გამოძახების ნაცვლად, მსხვერპლმა პირადად მათ დაურეკოს. რესპონდენტების თქმით, ეს მოვლენა განსაკუთრებით რეგიონებშია გავრცელებული. როგორც ერთ-ერთი ადვოკატი ამბობს:

„112“-ში მომართვიანობა დაბალია, როცა ამბობს შსს, იმიტომ ხდება, რომ რეგიონებში პოლიციელი აძლევს პირად ნომერს მსხვერპლს, ოღონდ ამ უკანასკნელმა “112“-ში არ დარეკოს.“
(იურისტი რესპონდენტი)

იურისტების მიხედვით, სწორედ ამიტომ არ ხდება ოფიციალურ დონეზე ოჯახში ძალადობის საქმეების ზუსტი აღრიცხვა. ამავე დროს, ამ მოვლენის გამო დამატებით პრობლემები ჩნდება. პოლიციელი ხშირად არაკეთილსინდისიერად და არასამსახურეობრივად იყენებს მსხვერპლის ტელეფონის ნომერს და იწყებს მის სექსუალურ შევიწროებას, იძულებას და ა.შ. გარდა ამისა, მსხვერპლის პოლიციაში განხორციელებული ზარი დამატებითი მტკიცებულებაა საქმეში და თუ მსხვერპლი “112“-ში დარეკვის ნაცვლად პოლიციელს დაურეკავს, ხმის ჩანაწერი არ კეთდება, ამ უკანასკნელს კი შეუძლია, ეს ნებისმიერ დროს უარყოს და მსხვერპლის დაცვის მხარეს ერთით ნაკლები მტკიცებულება ექნება საქმის სამართალწარმოებისას. ერთ-ერთი ადვოკატი ამბობს:

„ბევრი პოლიციელი კატეგორიულად ეუბნება მსხვერპლს, რომ მოდი შენ, მე უფრო შინაურულად მოგიგვარებ ამას, მე შენი პოლიციელი ვიქნები, პირადი პოლიციელი, ჩვენ დაგვირეკე და არ გვინდა “112” (ადვოკატი რესპონდენტი).

“112“-ის მობილური აპლიკაცია

ადვოკატების ფოკუს-ჯგუფზე გამომჟღავნდა, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლები “112“-ის მობილურ აპლიკაციას კოვიდ-19-ის დროს არ იყენებდნენ. ერთი, რომ მსხვერპლის სიახლოვეს იყოფებოდა და ამის გამო ვერ ახერხებდა მობილურის გამოყენებას და მეორე, მსხვერპლთა უმრავლესობას ინფორმაცია არ აქვს ამ აპლიკაციის შესახებ. რაოდენობრივი მონაცემების მიხედვით, მსხვერპლთა 100%-ს შსს-ს მიერ შექმნილი სატელეფონო აპლიკაციის შესახებ საერთოდ არ თვისებრივი მონაცემების გაანალიზებისას გამოიკვეთა, რომ შესაძლოა, მსხვერპლები აპლიკაციას ადგილმდებარეობაზე წვდომის გამო არ იყენებენ; მათი თქმით, არავის მოსწონს, როდესაც მის გადაადგილებასა და მდებარეობას ვინმე, განსაკუთრებით შსს, ყოველწამიერად აკონტროლებს.

„ზოგისთვის, მაგალითად, არასასიამოვნოა, რომ მუდმივად „ლოქეიშენი“ სჭირდება ამ აპლიკაციას, შეიძლება ამ კუთხითაც

ზოგმა უარი თქვას მის გამოყენებაზე. მაგალითად მე მაქვს გადმოწერილი ეს აპლიკაცია, სჭირდება მუდმივი ლოქეიშენი და ჩემი მხრიდან არ არის სასიამოვნო, რომ მუდმივად შსს-ს ექნება ინფორმაცია, თუ სად ვიმყოფები“ (ადვოკატი რესპონდენტი).

თუმცა, აღსანიშნავია, რომ შსს-ს წარმომადგენლების მიხედვით, მობილურის აპლიკაციას მუშაობისთვის ადგილმდებარეობის მითითება არ სჭირდება, რაც მიუთითებს აღნიშნული აპლიკაციის გამოყენების შესახებ ინფორმაციულობის დაბალ დონეს როგორც მსხვერპლთა, ისე ადვოკატებს შორის¹⁵.

ურბანული და რურალური განსხვავებები

კვლევის საშუალებით გამოჩვენდა, რომ ოჯახში ძალადობის დროს მსხვერპლი მიდის თუ არა პოლიციაში საჩივრელად, შესაძლოა დამოკიდებულია იმაზე, ოჯახში ძალადობა მოხდა ურბანულ, თუ რურალურ დასახლებაში. იურისტების ინფორმაციით, სოფლად მცხოვრები მოძალადეები უფრო მარტივად აგვარებენ ოჯახში დაწყებულ კონფლიქტს მსხვერპლების ნათესავეებთან (ძირითადად კაცებთან) და მეზობლებთან მოლაპარაკების გზით. ადვოკატების თხრობის მიხედვით, სოფლებსა და რეგიონებში პოლიციასთან მიმართვიანობა ყოველთვის უფრო დაბალია, ვიდრე თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებში, სადაც მსხვერპლს პოლიციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გარდა, „დამხმარე“, ხოლო მოძალადეს „საქმის მომგვარებელი“ არავინ ჰყავს.

“112“-ის, პატრულის, გამომძიებლისა და ექსპერტიზის საქმიანობა კოვიდ-19-ის დროს

“112” კოვიდ-19-ის დროს

კვლევის შემდეგი ამოცანა ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის არსებული სხვადასხვა სახელმწიფო სერვისების შეფასება იყო. პირველ რიგში, შეფასდა “112“-ის

¹⁵ ავტორების შენიშვნა: აპლიკაცია Safe You-ს გადმოწერისას, მომხმარებელი თავადწყვეტს, მისცეს თუ არა აპლიკაციას GPC-ზე, ანუ თავის იმჟამინდელ ადგილმდებარეობაზე წვდომის უფლება. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი არ მისცემს აპლიკაციას ადგილმდებარეობაზე წვდომის უფლებას, ის ვერ ისარგებლებს SOS შეტყობინების ფუნქციით და შეუძლია მხოლოდ განგაშის მოკლე ტექსტური შეტყობინების დაგზავნა ან დარეკვა.

მუშაობა. ადვოკატების მიხედვით, მსხვერპლთა ორი მსხვილი კატეგორია წარმოიქმნა: ერთი, რომელსაც უკვე მიუძღვრათ “112“-ისთვის და ძველი ნეგატიური გამოცდილების (ლოდინი, უყურადღებობა, ინდიფერენტულობა) გამო აღარ რეკავს “112“-ში და მეორე, რომელიც თავის მხრივ იყოფა: მსხვერპლი, რომელიც პირველად იყენებს “112“-ს, მაგრამ მანამდე გავლილი აქვს კონსულტაცია არასამთავრობო ორგანიზაციასთან და მსხვერპლი, რომელიც პირველად იყენებს “112“-ს, მაგრამ არ აქვს გავლილი კონსულტაცია არასამთავრობო ორგანიზაციასთან. ადვოკატი რესპონდენტის მიხედვით, არასამთავრობო ორგანიზაციასთან კონსულტაციაგავლილი მსხვერპლები სხვადასხვა იურიდიულ საკითხებში ერკვევიან, შესაბამისად, ზუსტად იციან, როგორ უნდა ისაუბრონ “112“-ის ოპერატორთან და პოლიციელთან, მაგრამ მსხვერპლი, რომელსაც არ გაუვლია კონსულტაცია, იმდენად დაბნეულია და ისეთი წნეხის ქვეშ იმყოფება “112“-ის ოპერატორების მხრიდან, რომ პირველივე ცუდი გამოცდილების შემდეგ იკეტება და საერთოდ აღარ რეკავს “112“-ში.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლები ასევე მიუთითებდნენ, რომ ოპერატორები ხშირად ირონიულები და ცინიკურები არიან ოჯახში ძალადობის შემთხვევებისა და მათ მიმართ. მათი აზრით, “112“-ის ოპერატორები შესაძლოა მსხვერპლის მდგომარეობას არ ითვალისწინებენ, რომელმაც დარეკვის მომენტში არ იცის, რომელი ფორმის ძალადობის მსხვერპლია, ცუდად არის და დახმარება სჭირდება. ერთ-ერთი მსხვერპლი რესპონდენტის მიხედვით ამ დროს “112“-ის ოპერატორები ისეთ შეკითხვებს უსვამენ მათ, რომელზე პასუხის გაცემაც სიმშვიდესა და დაფიქრებას მოითხოვს, დაფიქრების დრო კი მსხვერპლს არ აქვს. მსხვერპლების აზრით, უმჯობესია, პოლიცია მალე მივიდეს ძალადობის ადგილზე და მერე გამოძიებელმა გაარკვიოს, რა და როგორ მოხდა სინამდვილეში.

„ვინ არის დამნაშავე, მკვლელობა მოხდა, მუქარა მოხდა. <...> ამის ლაპარაკის თავი არა აქვს ხო? მჭირდება დახმარება. მერე უკვე გამოძიებელმა, მერე უკვე პოლიციამ უნდა დაადგინოს ის, ვინ ვინ არის და სახელი დაარქვას. მოვიდნენ ჯერ და მერე გაარკვიონ რა მოხდა“ (მსხვერპლი რესპონდენტი).

ერთ-ერთ მსხვერპლ რესპონდენტს “112” და ზოგადად სატელეფონო ზარით ოჯახში ძალადობის დროს პოლიციასთან დაკავშირება, თანამედროვე ტექნოლოგიურ სამყაროში მოძველებულ ხერხად მიაჩნიათ. ის თვლის, რომ დროა, შსს ისეთ

სერვისებზე უნდა გადავიდეს, რომელსაც სატელეფონო ზარი, ან ინტერნეტში ჩართული ტელეფონი არ ესაჭიროება. აქვე, აღსანიშნავია, რომ შსს-ს წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ინფორმაციით შსს-ს სერვისების გამოყენებას ინტერნეტი არ სჭირდება, რაც, გარკვეულწილად, მიუთითებს მსხვერპლთა შორის ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის ნაკლებობაზე.

საპოლიციო საქმიანობა კოვიდ-19-ის დროს

იურისტების თხრობის მიხედვით, კოვიდ-19-ის პერიოდში პოლიცია შესაძლოა არაეფექტურად მოქმედებდა, განსკუთრებით - რეგიონებში. ისინი მსხვერპლებს ეუბნებოდნენ, რომ პანდემიის გამო, ოჯახში ძალადობის გამოძიების დრო არ იყო და ხშირად „ნამუსზე აგდებდნენ ქალებს, რომ რა დროს ეხლა ეგ ამბებია, როცა ქვეყანა ჩაკეტილია“, ან მსხვერპლებს ეუბნებოდნენ, რომ: „სად წავიდეს მოძალადე პანდემიის დროს, ქუჩაში ხომ არ გაიყინებაო?“

ერთ-ერთი ადვოკატის მონათხრობიდან გამომჟღავნდა, რომ პოლიციელი პირდაპირ შეიძლება არ ეუბნება მსხვერპლს, რომ პანდემიის დროს ოჯახში ძალადობის ფაქტი მეორეხარისხოვანია, მაგრამ მათი დამოკიდებულება, ინდიფერენტულობა, დაბალი გენდერული მგრძობელობა მსხვერპლებს აფრთხობს და მათში პოლიციასთან თანამშრომლობის სურვილს ახშობს. მსხვერპლები ამას მოგვიანებით იურისტებთან, ადვოკატებთან ჩივიან, რომ პოლიცია მათ სასარგებლოდ არ რეაგირებს და იჩენს გულგრილობას.

მსხვერპლის ნაამბობიდან ვიგებთ, რომ გამომძიებელმა მიუგო მას: „სამი შვილი მყავს, ოჯახი მაქვს და არ მინდა, ვირუსი მივიტანო სახლშიო“. გამომჟღავნდა პოლიციელის სამსახურეობრივი მოვალეობის შეუსრულებლობის გამართლება კოვიდ-19-ით. ასევე, რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ პოლიციელები განყოფილებაში მისულ დაზარალებულებს უკან აბრუნებენ იმ არგუმენტით, რომ „რა დროს ახლა ოჯახში ძალადობაა, კოვიდ-19-ია, ჩაივლის ეს ყველაფერი და მერე მივხედოთ ამ საქმეებსო“.

საინტერესოა, რომ პანდემიის პერიოდში წარმოიქმნა სოციალური მოვლენა, „კოვიდის ბრალი“. ერთ-ერთი ადვოკატი ამბობს:

„უმეტესი საქმეების წინასასამართლო სხდომა გადაიდო, სწორედ იმიტომ, რომ პოლიციელები ამბობდნენ, რომ კოვიდის პერიოდში

ვერ ატარებდნენ თითქოს საგამოძიებო მოქმედებებს“ (ადვოკატი რესპონდენტი).

გარდა ამისა, ვინაიდან პოლიციელი და გამომძიებელი გამოძიების ნაწილში ექვემდებარებიან პროკურორს, ისინი ამბობენ, რომ პროკურორის გარეშე გამოძიებას ვერ აგრძელებენ. პროკურორები კი, კოვიდ-19-ის გამო არსებული შეზღუდვებისა და რეგულაციების გამო, სამ კვირაში ერთხელ დადიან სამსახურში. ქართველმა პოლიციელებმა და გამომძიებლებმა პროკურორის კოვიდ-19-ის პერიოდის რუტინა საქმეების გამოძიების დროში გაწელების კიდევ ერთ გამამართლებელ მოვლენად გარდაქმნეს. ერთ-ერთი ადვოკატი ამბობს:

„პოლიციელები ხელს იშვერდნენ პროკურორებისკენ და ამბობდნენ, რომ პროკურორები ზედამხედველობას ვერ უწევდნენ საქმეს, იმიტომ რომ ორ კვირაში-სამ კვირაში ერთხელ მიდიან ოფისში კოვიდის გამო, ეს კი ძალიან წელავს საქმეებს დროში“ (ადვოკატი რესპონდენტი).

ადვოკატების თქმით, დამატებითი დაბრკოლებები იქმნებოდა, როცა პოლიცია მოწმეების დაკითხვის დროს, ამბობდა, რომ დაკითხვას ვერ ჩატარებდა კოვიდ-19-ის შეზღუდვების გამო, რაც ასევე უარყოფითად აისახებოდა კონკრეტული საქმის გამოძიებაზე.

„კოვიდი იყო თემა, გაემართლებინათ კარგად თავიანთი გულგრილობები, კარგად გადაეფარათ რა, და ალბათ ერთი ხუთი-ექვსი საქმე, არასრულწლოვნების საქმე გვქონდა მაგალითად, არ გამოკითხეს მოწმე, იმიტომ რომ კოვიდიაო ეხლაო და გვაცალე და ამასობაში მოვიდა შსს-ს ვადა და ვეღარ გამოკითხეს და საქმე გაფუჭდა“ (ადვოკატი რესპონდენტი).

არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატები ამბობენ, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში გამოსაძიებელი თითქმის ყველა საქმე გაფუჭდა და პოლიციელებმა ეს ხარვეზი კოვიდ-19-ით გაამართლეს. რესპონდენტების თქმით კი, სინამდვილეში პროკურორი აგვიანებდა საქმეების გაცნობას, ან პოლიციელები იქცეოდნენ გულგრილად.

იურისტებთან ფოკუს-ჯგუფმა აჩვენა, რომ კოვიდ-19, როგორც პრობლემა, იმდენად რეალურად ხელისშემშლელი არ იყო პოლიციისა და გამომძიებლის საქმიანობებისათვის, რამდენადაც ის ამად **ხელოვნურად გადააქციეს**. მაგალითად, ერთ-ერთი იურისტი ამბობს, რომ მან თავად მოახერხა და გააკეთა საგანგებო სიტუაციის დროს საშვები, რომ მცხეთაში არასრულწლოვანი მსხვერპლები დაეკითხა, მაშინ, როდესაც პოლიციამ ეს ვერ მოახერხა და ამის გამო აღნიშნული საქმე დროში გაიწელა და გაფუჭდა. ადვოკატი რესპონდენტის მიხედვით, შესაძლოა პოლიციელებმა კოვიდი გამოიყენეს საკუთარი გენდერული უგრძობელობის გასამართლებლად და გადასაფარად. ეს კი, შესაძლოა, ის პატრიარქალური გენდერული ლინზებია, რომლებიც პოლიციელების სოციალიზაციის დროს კულტურული კოდირების გზით გადაეცემათ. ადვოკატი რესპონდენტის მიხედვით პოლიციელები არ თვლიან, რომ გულგრულობით რამეს აშავებენ, მაშინ როდესაც ამის გამო შესაძლოა ოჯახში/ოჯახური ძალადობის მსხვერპლები ვერ იღებენ შესაბამის სერვისებს სახელმწიფოსგან.

სათადარიგო გამომძიებელი

კვლევამ გამოამჟღავნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ გამომძიებელი კოვიდით ინფიცირდებოდა, ან იზოლაციაში გადაყვდათ კოვიდ ინფიცირებულთან კონტაქტის გამო, შსს-ს არ ჰყავდა მისი შემცვლელი და არც მკაფიო მესიჯი ჰქონდა სახელმწიფოს, თუ რა უნდა ექნა ასეთ დროს მსხვერპლს და მის მიერ იდენტიფიცირებულ მოწმეებს. ერთ-ერთი ადვოკატი ყვება:

„ორი მოწმე იყო გამოსაკითხი, რომლებიც ჩამოდიოდნენ ქუთაისიდან, შეთანხმებული იყო გამომძიებელთან, რომ უნდა ჩამოსულიყვნენ ხუთშაბათს. ოთხშაბათს ურეკავენ გამომძიებელს და ეკითხებიან, რომელ საათზე მოვიდეთ და ეს გამომძიებელი ეუბნება, რომ მე ვარ თვითიზოლაციაში და მე ვერ გამოგკითხავთ და ამის მეტს არაფერს არ ეუბნება“ (ადვოკატი რესპონდენტი).

ადვოკატები ყვებიან, რომ გამომძიებლის იზოლაციაში ყოფნის არგუმენტი, ისევე, როგორც ზოგადად კოვიდ-19-ის არსებობის არგუმენტი შსს-ს სტრუქტურების უმოქმედობის, არაკვალიფიციურობისა და სიზარმაცის გასამართლებლად გამოიყენება. ეს ყველაფერი კი საქმეს აბრკოლებს და მსხვერპლებს აზიანებს. ერთ-ერთი ადვოკატი ყვება, რომ პანდემიის დროს მივლინებით ჩავიდა დასავლეთ საქართველოს ქალაქის პროკურატურაში საქმის გასაცნობად, წინა დღეს ესაუბრა გამომძიებელს, რომელმაც დაუდასტურა ჩასვლა, მაგრამ ჩასვლის შემდეგ განუცხადა,

რომ თვითიზოლაციაში იყო და ვერ შეხვდებოდა. ადვოკატს სამი დღე მოუწია დარჩენა ამ ქალაქში და სამი დღის შემდეგ ძლივს მოახერხა საქმის მასალების გაცნობა მაშინ, როდესაც ძალიან მარტივად შეიძლებოდა ამ პრობლემის მოგვარება, თუ გამომძიებელს ეყოლებოდა შემცვლელი და ამ შემცვლელს გადასცემდა საქმის მასალებს. გარდა იმისა, რომ თვითიზოლაცია გამოყენებული იყო საქმის გაწელვის გასამართლებლად და ამავე დროს გამომჟღავნდა, რომ შსს-ს არ აქვს ოჯახში ძალადობის საქმეების გამოძიების ერთი გამომძიებელიდან მეორეზე გადაცემის მექანიზმი აწყობილი. როდესაც გამოძიებას ერთი გამომძიებელი იწყებს, მან არ იცის, როგორ გადასცეს ეს საქმე სხვა გამომძიებელს.

პოლიციისა და შსს-ს წარმომადგენლები აღიარებენ იმას, რომ კოვიდის პირობებში კადრების სიმცირეს განიცდიან, თუმცა ამის მიუხედავად, მსხვერპლებს ეფექტურად მომსახურებას ვპირდებითო.

„დღეის მდგომარეობით გვაქვს პრობლემა, იმიტომ რომ გამომძიებლებსაც უდასტურდებათ კოვიდის ვირუსი, ამის მიუხედავად... ვაძლევთ იმის გარანტიას, რომ მათი უფლებები სრულად იქნება დაცული“ (პოლიციელი რესპონდენტი).

დისტანციური გამოკითხვის შეუძლებლობა

მსხვერპლების სიღრმისეული ინტერვიუებისას გამომჟღავნდა, რომ შსს-ს არ ჰქონდა ძალადობის მსხვერპლების, მოწმეებისა და მოძალადეთა დისტანციური გამოკითხვის სერვისი, რაც დამატებით პრობლემებს წარმოქმნიდა.

ერთ-ერთი ადვოკატი ყვება, რომ მას შემდეგ, რაც გამომძიებელი კარანტინში გადაიყვანეს, მან შსს-ს მოწმეების დისტანციურად დაკითხვა სთხოვა, მაგრამ ამაზე უარი მიიღო.

„საგამომძიებო ისინი არ მიმდინარეობს ონლაინ. ეს არის დაუშვებელიო <...> და ძლივს დავამთხვიეთ შემდეგ, რომ ჩემი მოწმეებიცა და გამომძიებლებიც თანადროულად ყოფილიყვნენ მზად დაკითხვისთვის“ (ადვოკატი რესპონდენტი).

მსხვერპლები ამბობენ, რომ გარდა იმისა, რომ შსს დისტანციურად არ ახორციელებს სერვისებს - გამოკითხვას, გამოძიებას, მას შემდეგ, რაც მათ გამომძიებლებთან საქმის

არსებულ მდგომარეობაში გასარკვევად დარეკეს, ამ უკანასკნელებმა ისინი თავიდან მოიშორეს და მკაფიო პასუხები არ გასცეს.

„არა. დისტანციურად არაფერს არ აკეთებს პოლიცია საერთოდ. პროკურატურაშიც რომ დარეკავ, ანუ პროკურორთან რომ ვრეკავდი, რომ აი, რაღაცა მაინტერესებდა, ვთქვათ, კითხვა მქონდა, მერე რა გინდა, ხო კარგი და მითითავდა. ნორმალურად არ გეკონტაქტებიან. ადამიანად ვერ გრძნობ თავს და უფრო მეტად ისტრესები და კიდევ უფრო უკან იხევ...“ (მსხვერპლი რესპონდენტი).

მსხვერპლები თვლიან, რომ ონლაინ გამოკითხვა რეალურად ბევრ პრობლემას მოაგვარებდა. პირველ რიგში, დაზოგავდა დროს. ონლაინ პლატფორმებს აქვთ ჩაწერის ფუნქცია - “ჩაიწერ და გადაამრავლებ ჩვენებებს. დროს მოიგებ”. ერთ-ერთი რესპონდენტის მიხედვით, პოლიცია არქაულ მეთოდებს იყენებს. ხელით ჩვენების დაწერა მოძველებულია. მაგრამ აქ მჟღავნდება ერთი საინტერესო მოვლენა: ხელით დაწერილ ჩვენებას პოლიციელი მსხვერპლს ხშირ-ხშირად აცვლევიანებს, „სწორედ არ წერ ჩვენებასო“. ერთ-ერთი მსხვერპლი ამბობს, რომ „პოლიციას თითქოს რაღაც სქემა აქვს ჩვენების მიცემის და ონლაინ პლატფორმები პოლიციას არ აწყობს, რადგან ვეღარ მოახერხებს ჩვენებების ფალსიფიკაციას და შეცვლას“, დაკითხვის არსებულ სქემებში ჩასმას:

„შენ ყვები, ესენი წერენ კომპიუტერზე ამას, მერე ამას იმას შვებიან, რა ქვია, გაკითხებენ და ხელს აწერ, მაგრამ ნუ ძან ხშირია, რომ ვაიმე იცით რა, მასე არ შეიძლება დაწერა და თვითონ თავისი კორექტირები შეაქვთ, ისე წერენ, როგორც მათ უადვილდებათ, ალბათ რაღაცა სქემა აქვთ, არ ვიცი“ (მსხვერპლი რესპონდენტი).

შემაკავებელი ორდერი

პოლიციელები ყვებიან, რომ ხშირად მსხვერპლები თავად ამბობენ უარს გამოძიების პროცესში მოძალადის მიმართ აღმკვეთი ღონისძიებების გამოყენებაზე. ასევე, ამბობენ, რომ მსხვერპლები ვერ ყალიბდებიან, უნდათ თუ არა მოძალადეზე გამოიცეს შემაკავებელი ორდერი. თავიდან თანახმანი არიან ორდერის გამოცემაზე, მაგრამ როდესაც იღებს ინფორმაციას, თუ რა მოყვება შემაკავებელ ორდერის დარღვევას, მერე აღარ უნდათ მისი გამოწერა. თუმცა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შსს-ს

წარმადგენლის მიერ კოვიდ-19-ის პერიოდში შემაკავებელი ორდერის გამოწერის შემთხვევები გაიზარდა, რაც აჩვენებს, რომ პანდემიამ მსხვერპლების ქცევაზე გავლენა იქონია და ისინი აღარ ერიდებიან მოძალადისთვის შემაკავებელი ორდერის გამოწერის მოთხოვნას.

ექსპერტიზა

გამომძიებლები აღნიშნავენ, რომ კოვიდმა გავლენა იქონია სამხარაულის ექსპერტიზაზე, რომლის პროცედურებიც დროში იწელება კოვიდის გამო არსებული შეზღუდვებისა და რეგულაციების გამო, რაც მსხვერპლების გაღიზიანებას იწვევს.

„სამხარაულში გვაქვს ცოტა არ იყოს შეზღუდვა შესვლაზე. სპეციალური გადამოწმების ოქმები უნდა ვაკეთოთ ბაზაში. აღნიშნული პიროვნება, ვინც ექსპერტიზაზე მიგვყავს, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი თუნდაც. თვითონ მაგის ოჯახის წევრები იმყოფებოდნენ თუ არა იზოლაციაში, კონტაქტი ქონდათ, თუ არა. შემდეგ რომ მივალთ, შიგნით არ ხდება შესვლა მოქალაქეების, კიბეებზე გვიწევს ლოდინი, ორი-სამი საათი, ოთხი საათი... ამაზე, რა თქმა უნდა, აგრესიული ხდება ეს დაზარალებული“ (გამომძიებელი რესპონდენტი).

მსხვერპლი რესპონდენტების მიხედვითაც, კოვიდმა თავისებური გავლენა ექსპერტიზაზე იქონია.

„არ ვიცი, ექსპერტიზაზე ვრეკავ ხოლმე და მეუბნებიან, ხან ერთს მეუბნებიან, ხან მეორეს. <...> ველოდები პასუხს და ეგეთი სიტუაცია, გაურკვეველი“ (მსხვერპლი რესპონდენტი).

კოვიდ-19-ის პირობებში დაწესებული რეგულაციების შესრულება

ადვოკატების თქმით, პოლიციის განყოფილებაში კოვიდის გამო არსებული რეგულაციები და წესები ხშირად ირღვევა.

„არც ერთ განყოფილებაში, ფაქტობრივად სადაც ვყოფილვარ, თავიდან რომ შედიხარ ურთიერთობაში, უკეთიათ ეს პირბადე, რომელიც გარკვეული ხნის შემდეგ, აღარ უკეთიათ.“ (ადვოკატი რესპონდენტი)

მსხვერპლების მონაყოლიდან ვიგებთ, რომ პოლიციის ოფისებში კოვიდის გამო დაწესებული შეზღუდვებისა და რეგულაციების დაცვა არ ხდება:

„ყველა ერთ ოთახშია შეკრებილი, არანაირი ორმეტრიანი დაშორება არ არის. სტერილიზაციის გარდა ყველაფერს აკეთებენ. სიცხეს, პოლიციაში ისე შედიხარ, არავინ გიზომავს“ (მსხვერპლი რესპონდენტი).

მსხვერპლების ნარატივიდან ირკვევა, რომ კოვიდ-19-ის გამო დაწესებულ შეზღუდვებსა და რეგულაციებს მხოლოდ საპატრულო პოლიცია იცავს.

„როდესაც გამოვიძახეთ, პირბადეები ეკეთათ, ხელთათმანებიც ეკეთათ, სხვა იქით არ ვიცი, ჩვენ უკვე განყოფილებაში გადავედით და ჩვენ რა კომუნიკაცია და შეხებაც გვქონდა, პატრულისგან უფრო მეტად იყო დაცული შეზღუდვები“ (მსხვერპლი რესპონდენტი).

ამ ნარატივის საპირისპიროდ, პოლიციელები ამბობენ, რომ მოქალაქეები არ იცავდნენ კოვიდის გამო არსებულ წესებსა და რეგულაციებს და ამის გამო ერთხელაც მთელი სამმართველოს იზოლაციაში გადაყვანა მოუხდათ. პოლიციელები ყვებიან, რომ მათი სამმართველოები და პოლიციის ოფისები აღჭურვილები არიან ნიღბებითა და სანიტაიზერებით.

„გვქონდა მაგის შემთხვევაც, როდესაც კოვიდ ინფიცირებული ქალბატონი მობრძანდა სამმართველოში და ნახევარი სამმართველოს გადაყვანა მოგვიწია მერე თვითიზოლაციაში, სწორედ იმის გამო, რომ არ იყო დაცული მოქალაქის მხრიდან ელემენტარული უსაფრთხოების ნორმები. თუმცა, ჩვენი სამმართველოები აღჭურვილები არიან პირბადეებით და სანიტაიზერებით“ (პოლიციელი რესპონდენტი).

გენდერული სტერეოტიპები

ადვოკატების ფოკუს-ჯგუფში შეიქმნა სოციალური მოვლენა: **პოლიციელი და პოლიციელობა, როგორც კულტურული პრობლემა**. ადვოკატები საუბრობენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელები გენდერულ საკითხებზე სხვადასხვა

ტრენინგებს ესწრებიან, მაინც რჩება მათი გარკვეული რაოდენობა, რომელიც საპოლიციო საქმიანობაში საზოგადოებაში არსებულ გენდერულ სტერეოტიპებს (კაცი ქალზე უპირატესია, ქალმა უნდა მოითმინოს ოჯახში ძალადობა, ოჯახში ძალადობა შიგნით უნდა მოგვარდეს, პოლიციის ჩარევის გარეშე) იმეორებს. ადვოკატები თანხმდებიან, რომ ეს ქართველი პოლიციელების სოციალიზაციისას დასწავლილი კულტურული მოწყობა და კოდირებაა და არა - უფროსობისგან წამოსული დავალება, რომ ძალადობის მსხვერპლი ქალების მიმართ იყვნენ გენდერულად უგრძობელნი და ცინიკურად განწყობილნი.

მსხვერპლებს, პოლიციის ნაცვლად, არასამთავრობო ორგანიზაციასთან კომუნიკაცია ურჩევნიათ. ერთ-ერთი მსხვერპლი რესპონდენტის თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციაში მსხვერპლის მიმართ მგრძობელობა უფრო მეტია, ვიდრე - პოლიციაში. მისი თქმით, პოლიცია ხშირად თავად ახდენს მსხვერპლის ვიქტიმიზაციას, ცდილობს, ის დაარწმუნოს, რომ მან თავად გამოიწვია მოძალადის ქცევა და უმჯობესია, მოითმინოს.

„[პოლიცია] რომ მოდის, პირველ რიგში, იწყებენ, კარგით რა ქალბატონო, რა მოხდა მერე, კაცია, აღელდა, ალბათ თქვენი ბრალი იყო. <...> პირდაპირ მოდიან შენზე იერიშით და ანუ, გადანაშაულებენ, რომ შენ ალბათ პროვოცირება გაუკეთე, შენ ალბათ ეს ქენი, მაგრამ არასამთავრობოებში ეს არ ხდება, არასამთავრობოში იმას კი არ გეუბნებიან, რომ თავზე ხელს გისვამენ-თქო, არა. უბრალოდ საღად უყურებენ ამას, უფრო მეტი მგრძობელობა აქვს“ (მსხვერპლი რესპონდენტი).

არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა

მსხვერპლები ყვებიან, რომ როდესაც მათ საქმეში არასამთავრობო ორგანიზაცია ერევა, პოლიციელებისა და გამომძიებლების მათდამი დამოკიდებულებაც იცვლება - უფრო სერიოზულად და გულითადად უდგებიან საქმის გამომძიებას. ერთ-ერთი მსხვერპლი ყვება, რომ მას მერე, რაც კავშირი საფარის ადვოკატი იცავს მის უფლებებს, პოლიციელები ქუჩაშიც რომ ხვდებიან, გულისყურითა და ყურადღებით კითხულობენ მისი საქმე რა ვითარებაშია. მსხვერპლები ამბობენ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატთან ერთად უფრო ემანსიპირებულად და ძლიერად გრძობენ თავს. მათი აზრით, სანამ არასამთავრობო ორგანიზაცია არ ერევა საქმეში, პოლიცია მსხვერპლს იმდენად გულგრილად ექცევა და იმდენად სასაცილოდ მიაჩნიათ

ძალადობის საქმე, რომ მსხვერპლი იკეტება და საერთოდ აღარ აგრძელებს სამართალწარმოებას.

ეთნიკური უმცირესობები

ადვოკატების თქმით, გამოწვევებია ისეთ რეგიონებში, სადაც ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობენ. ამ რეგიონებში პრობლემას წარადგენს როგორც პოლიციელი, რომლებიც გენდერულად ინდიფერენტულია მსხვერპლების მიმართ, ასევე, თავად მსხვერპლებიც, რომლებსაც ენობრივი ბარიერის გამო არ აქვთ ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, ოჯახში ძალადობის დროს როგორ უნდა აწარმოონ სამართალწარმოება.

„ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ ადგილებში პოლიცია საერთოდ არაადეკვატურია, შეიძლება, ქალი ცნონ მოძალადედ, იქიდან გამომდინარე, რომ ხმა ამოიღო ქმრის წინააღმდეგ. <...> და მეორე პრობლემა არის მსხვერპლი ქალის ფენომენი. არ იცის, უნდა განაცხადოს თუ არა ძალადობასთან დაკავშირებით პოლიციაში, იმიტომ ენობრივი ბარიერის გამო მათთვის იურიდიული ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი, რაზედაც შსს საერთოდ არ მუშაობს, რომ ამ მხრივ რაიმე სახის განათლება, ან ცნობიერება შეიტანოს ამ საზოგადოებაში, ადგილობრივ ენაზე დაბეჭდოს საინფორმაციო ბუკლეტები. იმიტომ რომ არ აწყობს“ (ადვოკატი რესპონდენტები).

კოვიდ-19-ის საპასუხოდ განხორციელებული ნაბიჯები

კვლევის მომდევნო ამოცანას წარმოადგენდა გარკვევა, რა ნაბიჯები გადადგა შინაგან საქმეთა სამინისტრომ იმისათვის, რომ კოვიდ-19-ის პირობებში არსებული გამოწვევები დაეძლია და მსხვერპლებისთვის გამართული სერვისი მიეწოდებინა.

პირველ რიგში, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, კოვიდ-19-მდე და კოვიდის დროსაც მსხვერპლებისა და ადვოკატების თქმით, შსს-ს ჰქონდა ე. წ. „შემამინებლის“ იმიჯი. ერთ-ერთი მსხვერპლი რესპონდენტის თქმით, ხშირად მსხვერპლებს შსს სამინისტროსი ისევე ეშინათ, როგორც მოძალადე კაცების. ზოგიერთი რესპონდენტის აზრით, შსს-ს ეს მიდგომა შესაძლოა მსხვერპლის მხრიდან მიმართვიანობისგან თავის შეკავებისა და გარკვეული დაბნეულობის მიზეზი იყოს. მსხვერპლი და ადვოკატი

რესპონდენტები ამბობენ, რომ ამ იმიჯის დასანგრევად შინაგან საქმეთა სამინისტროს არაფერი გაუკეთებია, არც კოვიდ-19-მდე და არც პანდემიის დროს.

პოლიციელი და ადვოკატი რესპონდენტების აზრით, შსს-ს იმიტომ აქვს ასეთი შემშინებლის იმიჯი, რომ პოლიციის საქმიანობის პროცესი და დეტალები მოსახლეობისთვის ცხადი არ არის. პოლიციას აქვს სახელმძღვანელო მითითებები, რომელიც საჯარო არ არის და ხალხი ვერ ხედავს, ვერ ეცნობა პოლიციის საქმიანობის სტანდარტებს. ამას თავად პოლიციელებიც ადასტურებენ. ისინი ამბობენ, რომ მათი საპოლიციო საქმიანობების ცალკეული სტანდარტები საჯარო არ არის, ვინაიდან შიდაუწყებრივ დოკუმენტებს წარმოადგენს და გაიდლაინები მხოლოდ მათთვის არის განკუთვნილი.

„საჯაროდ არ განგვითავსებია, გამომდინარე იქიდან, რომ ეს არის შიდა დოკუმენტი, ანუ შიდა სამოქმედოდ არის გამოყენებული და როგორც წესი, გამოიყენება უკვე უშუალოდ პოლიციელების საქმიანობის დროს. შესაბამისად, ამის გასაჯაროება არ მომხდარა“ (პოლიციელი რესპონდენტი).

რაც შეეხება უშუალოდ კოვიდ-19-ის პერიოდს, მსხვერპლებისა და ადვოკატების გამოკითხვის შემდეგ გამომჟღავნდა, რომ შსს-ს კოვიდის გამო წარმოქმნილ გამოწვევებსა და პრობლემებზე - ძალადობის ზრდა, დისტანციური მუშაობა, რეგულაციებისა და შეზღუდვების შესრულება, შესაძლოა შესაბამისი მოქნილობა არ გამოუჩენია. ერთ-ერთი მსხვერპლის მიხედვით, მთავრობისგან განსხვავებით, რომელიც კოვიდთან დაკავშირებულ მესიჯებს მაინც გზავნიდა მოსახლეობაში, შსს-ს არ ჰქონია არანაირი შეტყობინება, ან რაიმე მსხვილი კამპანია, თუ როგორ უნდა ავირიდოთ თავიდან ოჯახში ძალადობა, ან როგორ დავიცვათ თავი მისგან. ერთადერთი, რასაც იხსენებენ მსხვერპლები და ადვოკატები, საზოგადოებრივ მაუწყებელზე გაშვებული რეკლამა-მოწოდებაა, რომელიც მსხვერპლებს მოუწოდებდა, კოვიდ-19-ის პერიოდში ოჯახში ძალადობის შემთხვევებისას პოლიციისთვის მიემართათ. ერთ-ერთი მსხვერპლი რესპონდენტი ამბობს:

„რამე სმს-ი, მსგავსი არაფერი ყოფილა, კოვიდის დროს ხომ გახსოვთ მთავრობა, ხელები დაიბანეთ, ძან ელემენტარულ რაღაცეებზე. “112“-ის მხრიდან მსგავსი არ მახსენდება ყოველ შემთხვევაში, სმს-ი შემოსულიყო. მახსოვს, პირველ არხზე იყო საინფორმაციო რგოლივით, რომ მიუხედავად პანდემიისაო, არ შეჩერდეთ და დაგვირეკეთო“ (მსხვერპლი რესპონდენტი).

ელექტრონული ფოსტის პრობლემა

ადვოკატები და მსხვერპლები თანხმდებიან, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთი მუშა მეილიც კი არ აქვს, რომელზეც ადვოკატები, მსხვერპლები გაგზავნიან ინფორმაციასა და დოკუმენტებს. ასევე, არ არის ხელმისაწვდომი იმ პროკურორების მეილები, რომლებიც კოვიდ-19-ის გამო სახლიდან მუშაობენ დისტანციურად. რესპონდენტების თქმით, აუცილებელია საჯარო მეილების არსებობა, რომელიც საქმის დროში გაწელებას თავიდან აგვაცილებს. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით,

„მეილი არ არის რთულად გასაკეთებელი, უბრალოდ ვფიქრობ, რომ სურვილი სჭირდება და შეუძლია შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურას, რომ გააკეთოს და გამარტივდეს ეს პროცესი. ქალაქში გადაადგილება, თუნდაც თბილისშიც, რთულია და ყოველთვის იმ განყოფილებაში შეიძლება ვერ მიხვიდე და რატომ არ უნდა იყოს შესაძლებელი, რომ ელექტრონულად მიმართო ისე, რომ შენ გეცოდინება, რომ შენი დოკუმენტი მივა დანიშნულების ადგილას და დასტურს მიიღებ ელემენტარულად, რომ მიიღეს, თუნდაც“ (ადვოკატი რესპონდენტი).

ერთ-ერთი მსხვერპლის მიხედვით, შსს აღმოჩნდა ძალიან მოუქნელი და რეტროგრადი, უნივერსიტეტებისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებისგან განსხვავებით, რომლებმაც პანდემიის დროს დისტანციური სერვისების დანერგვა მოახერხეს.

„სიტყვაზე რა, უნივერსიტეტებში არ იყო სწავლა პირისპირ და რაღაც პლატფორმები დაურიგეს ლექტორებს, ზუმი, თუ რაღაცა თიმსი და იქ ატარებენ ლექციებს“ (მსხვერპლი რესპონდენტი).

შსს-ს წარმომადგენლები ამბობენ, რომ მათ საკმაოდ ბევრი ღონისძიება გამართეს კოვიდის პირობებში ოჯახური ძალადობის აღმოსაფხვრელად.

„ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავ, თვითონ პანდემიის პირობებშიც, მიუხედავად პანდემიით დაწესებული შეზღუდვებისა, დეპარტამენტი აგრძელებდა აქტიურ მოღვაწეობას ამ მხრივ და არაერთი ონლაინ

შეხვედრა და კონფერენცია ჩაატარა სხვადასხვა რეგიონების წარმომადგენლებთან, რომ კარგად აეხსნა ოჯახში ძალადობის ზოგადად ცნება და ის სამართლებრივი მექანიზმები, რაც მოქალაქეს ამ საკითხთან დაკავშირებით“ (პოლიციელი რესპონდენტი).

პოლიციელები ამბობენ, რომ შსს-მ სპეციალური ვიდეორგოლიც შექმნა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ინფორმირებისათვის.

„საინფორმაციო ვიდეორგოლიც იქნა გადაღებული აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით, რომელიც გადაიცა ეროვნულ სატელევიზიო არხებზე. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ რა თქმა უნდა, საინფორმაციო კამპანია ძალიან მნიშვნელოვანია ამ მხრივ და ვფიქრობ, რომ საკმაოდ აქტიურად მოღვაწეობს შსს ამ კუთხით“ (პოლიციელი რესპონდენტი).

პოლიცია ამბობს, რომ მათ დამატებითი არხი ჩასვეს “112“-ის მომსახურებაში, რომ კოვიდ-19-ის პერიოდში ძალადობის ფაქტებზე სათანადო რეაგირება მომხდარიყო.

„გადავწყვიტეთ, ცალკე რიგი შეგვექმნა საპატრულო შინაარსის ზარებისთვის, იმისთვის, რომ არ დაგვეკარგა ასეთი გამოძახებები, მოკლედ, როცა ვთქვით გადატვირთულია “112”, ძირითადად ეს ეხება სამედიცინო შინაარსის ზარებს, არ დაგვეკარგა საპატრულო შინაარსის გამოძახებებიც“ (პოლიციელი რესპონდენტი).

თუმცა, თვითონვე აღიარებენ, რომ ლოდინის დრო გაზრდილია, რაც მომსახურებას აფერხებს:

„ლოდინის პერიოდი, რა თქმა უნდა, ეხლა გაზრდილია და საკმაოდ გაზრდილია. კონკრეტულ რიცხვს, რათქმაუნდა, ვერ დავასახელებ, გამიჭირდება, მაგრამ საკმაოდ გაზრდილია ლოდინის პერიოდი“ (პოლიციელი რესპონდენტი).

ერთ-ერთი პოლიციელი კოვიდ-19-ის დროს შსს-ს რიგიდულობა კანონმდებლობის მოუქნელობით ახსნა. მისი თქმით, გამოკითხვის პროცესი სისხლის სამართლის კოდექსშია გაწერილი და ასე ადვილად ამ სერვისის მორგება დისტანციურ პლატფორმებზე ვერ განხორციელდება:

„ეს მოგეხსნებათ, რომ ცოტა უფრო რთული იქნება, იმიტომ რომ გამოძიების და გამოკითხვის პროცესი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არის გაწერილი და რას გულისხმობთ, მაშინ გამოდის, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უნდა შეიცვალოს და კოვიდს მოვარგოთ?“ (პოლიციელი რესპონდენტი).

პოლიციელების განცხადებით, შსს-ს ჯერ კოვიდ-19-ის პერიოდში ოჯახში ძალადობის შესახებ ანგარიში არ მოუძადავებია და გამოუქვეყნებია. მათი თქმით, ამ საკითხზე არც კონფერენცია, ან სამუშაო შეხვედრები გამართულა. შსს ასრულებს მხოლოდ პროტოკოლით მთავრობის მიერ გაწერილ ვალდებულებებს, მაგრამ ვალდებულების მიღმა არ მოუხდენია რეფლექსია, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას პანდემიის დროს ქვეყანა ოჯახში ძალადობის საქმეების გამოძიებისა და სამართალწარმოების მხრივ. შსს-ს წარმომადგენლების თქმით, მათ არც უცხოელი ექსპერტი, ან გამოცდილი პერსონალი მოუწვევიათ გამოცდილების გასაზიარებლად.

„არა, სამწუხაროდ უშუალოდ კოვიდთან დაკავშირებული კონფერენციები როგორც ასეთი, არ მახსენდება, არც საერთაშორისო ექსპერტების ჩართვა, მაგრამ თუ რამე შემოთავაზებები იქნებათ, ჩვენ ღია ვართ“ (პოლიციელი რესპონდენტი).

დასკვნა და რეკომენდაციები

კვლევის დროს შეგროვებული რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების ანალიზმა გამოავლინა შსს-ს მუშაობასთან დაკავშირებული გამოწვევები ოჯახში ძალადობის მსხვერპლებთან მიმართებით, რომელიც კოვიდ-19-ის პანდემიამ გაამწვავა.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ შსს მიერ განხორციელებული ღონისძიებები პანდემიით გამოწვეული გარემოებების (საგანგებო მდგომარეობა, დისტანციური მუშაობა, საჯარო ტრანსპორტის შეჩერება, კოვიდ-19-ით დაინფიცირების შიში) მიმართ საკმარისი არ აღმოჩნდა. მსხვერპლ რესპონდენტთა 100% ამბობს, რომ კოვიდ-19-ის პანდემიის დროს შსს-ს ინფორმაციაც არ შეუგროვებია ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისგან, თუ რა გამოწვევების წინაშე დადგნენ ისინი. კვლევის მონაცემების მიხედვით, შსს, შესაძლოა, არ ადაპტირდა ახალ გამოწვევებთან და მონაცემთა

ანალიზის შედეგად გამომჟღავნებული ღონისძიებები (ვიდეორგოლი, რომელიც განკუთვნილი იყო ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის და “112“-ისთვის, დამატებული სატელეფონო არხები კონკრეტულად ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის), რომელიც შსს-მ გაატარა, მინიმალური აღმოჩნდა მსხვერპლების პრობლემების გადასაჭრელად. კვლევის მონაცემების მიხედვით, მსხვერპლები და ადვოკატები კოვიდ-19-ის გამო წარმოქმნილ პრობლემებზე (დისტანციური გამოკითხვის, ონლაინ სერვისების, მათ შორის გამართული ელექტრონული ფოსტისა და “112“-ის ნაცვლად, ახალი ცხელი ხაზის არარსებობა) შსს-ს სერვისების მორგებას ითხოვენ, რაც კვლევის შედეგების მიხედვით, 2020 წლის დეკემბრამდე არ განხორციელებულა. გამოკითხულთა 28% ამბობს, რომ მათი გამომძიებელი თვითიზოლაციაში გადავიდა და მათი 100% ამბობს, რომ მას შემცვლელი არ გამოუჩნდა, რის გამოც მათი საქმე დროში გაიწელა და გამოძიების პროცესი შეფერხდა.

გამოკითხული პოლიციელებიც არ უარყოფენ იმ ფაქტს, რომ შსს-ს კოვიდ-19-ის დროს დისტანციური, მაგალითად, მსხვერპლის ონლაინ გამოკითხვის პრაქტიკა არ ჰქონია, მაგრამ ამ ფაქტს ისინი იმით ხსნიან, რომ კანონით ონლაინ დაკითხვა შეუძლებელია.

იმ პირობებში, როდესაც უცნობია, როდის შეძლებს მსოფლიო კოვიდ-19-ის დამარცხებას, ჩნდება შეკითხვა, თუ რატომ არ იგეგმება და ხორციელდება გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფს მსხვერპლთა ონლაინ გამოკითხვას? მაშინ, როდესაც, სახელმწიფო სერვისების უმეტესი ნაწილი გადასულია დისტანციურ მუშაობაზე, რესპონდენტების მონათხრობის მიხედვით, საქართველოში შსს-ს ადვოკატის ან თარჯიმნის ჩართვაც კი არ შეუძლია დისტანციურად საპოლიციო საქმიანობის განხორციელებისას.

რესპონდენტების მონათხრობმა დამატებით გამოკვეთა, რომ პანდემიის პირობებში საჯარო ტრანსპორტის შეჩერებამ და კომენდანტის საათის დაწესებამ მნიშვნელოვნად გაართულა საპოლიციო საქმიანობა. ამასთან, კოვიდ-19-ით დაინფიცირების შიში ერთ-ერთ ფაქტორად იქცა, რის გამოც ოჯახში ძალადობის მსხვერპლები ერიდებიან პოლიციის შენობაში მისვლას და იქ მრავალსაათიან გამოკითხვაზე ყოფნას. შესაბამისად, პირველი რეკომენდაციაა, მსხვერპლთათვის სერვისის მიწოდების და საპოლიციო საქმიანობის დისტანციური საშუალებების წარმართვის შესწავლა. დამატებით, ერთ-ერთი რესპონდენტის მიხედვით, ონლაინ გამოკითხვას აქვს შემდეგი უპირატესობა - ხდება ჩანაწერის გაკეთება, რაც მსხვერპლს ააცილებს განმეორებით ჩვენების მიცემას და რეტრამვატიზაციას. ამასთან, პირისპირი გამოკითხვის დროს, პოლიციელის მიერ შედგენილი მოწმის დაკითხვის ოქმი შაბლონური, წინასწარ

გაწერილი სქემის მიხედვით დგება, რომელიც, შესაძლოა, ბოლომდე არ ემთხვეოდეს რეალობას. შემდეგი რეკომენდაციაა, რომ შსს-მ შეისწავლოს მსხვერპლის გამოკითხვისას აუდიო ან ვიდეო ჩანაწერის გაკეთების შესაძლებლობა, რაც შესაძლოა ჩვენების მიცემის განმეორებადობას გამორიცხავს და ამავდროულად მის სიზუსტეს უზრუნველყოფს.

ადვოკატები და მსხვერპლები აცხადებენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთი მუშა მეილიც კი არ აქვს, რომელზეც ინფორმაციისა და დოკუმენტებს გაცვლა იქნებოდა შესაძლებელი. კვლევის მონაცემების მიხედვით, შესაძლოა, შსს თანამედროვე ელექტრონულ საშუალებებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლების საქმეთა გამოძიებისას აქტიურად არ იყენებს, რაც ნეგატიურად აისახება მათ მიერ გაწეული მომსახურების ხარისხზე. მომდევნო რეკომენდაციაა საპოლიციო საქმიანობისას თანამედრო კომუნიკაციის სისტემების, მათ შორის, ელექტრონული ფოსტის აქტიური გამოყენება.

რესპონდენტების მიხედვით, მომდევნო პრობლემა, რომელიც კვლევამ გამოამჟღავნა, გამომძიებლის დაინფიცირების ან თვითიზოლაციაში გადასვლის შემთხვევაში მისი შემცვლელის არარსებობაა. სიღრმისეული ინტერვიუების შედეგად შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ გამომძიებლების დაინფიცირების შემთხვევებში, საპოლიციო საქმიანობა ფაქტობრივად ჩერდებოდა და მსხვერპლი ელოდებოდა მის სამსახურში დაბრუნებას. კვლევით გამოვლინდა, რომ შსს-ს შესაძლოა არ აქვს ოჯახში ძალადობის საქმეების გამოძიების ერთი გამომძიებლიდან მეორეზე გადაცემის გამართული მექანიზმი. პოლიციელთა ფოკუს-ჯგუფში აღინიშნა, რომ შსს-ში არსებობს გამომძიებელთა დეფიციტი, რაც განსაკუთრებით თვალში საცემი გახდა კოვიდ-19-ის პირობებში. შემდეგი რეკომენდაციაა, შსს-მ შეისწავლოს კადრების დამატების საჭიროება პანდემიის პირობებში და უზრუნველყოს სათადარიგო გამომძიებლისთვის მიმდინარე საქმის გადაცემის გადაცემის პროცესი.

თვისებრივი კვლევის მონაცემებში გამოამჟღავნა, რომ შესაძლოა “112”-ის ოპერატორებს აკლიათ მგრძნობელობა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთან მიმართებით. შესაბამისად, შემდეგი რეკომენდაციაა ცხელი ხაზის ოპერატორების დამატებითი გადამზადება გენდერული/ოჯახში ძალადობის სენსიტიურობის მიმართულებით, განსაკუთრებით პანდემიების დროს.

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა პოლიციელების მხრიდან მსხვერპლებისათვის პირადი მობილურის ნომრის გაზიარების პრაქტიკა, რომელიც შესაძლოა “112”-ზე

მიმართვიანობას ამცირებს. აღნიშნული პრაქტიკა რამდენიმე ასპექტით არის სახიფათო. ერთი მხრივ, რეალურად მცირდება “112”-ზე მიმართვიანობა და გროვდება დამახინჯებული სტატისტიკური მონაცემები ძალადობის საქმეებზე შსს-სთან მიმართვიანობის კუთხით, მეორე მხრივ კი, “112”-ისგან განსხვავებით, სადაც მსხვერპლისგან შესული ზარი იწერება, რაც საშუალებას იძლევა, განხორციელდეს აღნიშნული ზარების მონიტორინგი, პოლიციელის მხრიდან პირადი ნომრის გაზიარების შემთხვევაში, ეს მონაცემი იკარგება. ეს მონაცემი კი დამატებით მტკიცებულებას წარმოადგენს ოჯახში ძალადობის საქმეში. პირადი კომუნიკაციის შემთხვევაში ეს მტკიცებულება აღარ არსებობს. შესაბამისად, მსხვერპლის ინტერესებიდან გამომდინარე, ყოველთვის სასურველია, ზარი ხორციელდებოდეს “112”-ის გამოყენებით. ამიტომ, შემდეგი რეკომენდაციაა, პოლიციელის პირადი ტელეფონის ნომრის გამოყენების პრაქტიკის ანალიზი და პოლიციელთათვის შესაბამისი რეკომენდაციების გაწერა.

რაოდენობრივმა კვლევამ დაადგინა, რომ “112”-ის მობილური აპლიკაციის შესახებ მსხვერპლ რესპონდენტებს ინფორმაცია არ აქვთ. ამ ინფორმაციას მხოლოდ ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ადვოკატი რესპონდენტები ფლობდნენ. მომდევნო რეკომენდაციაა, რომ შსს-მ უფრო აქტიური კამპანია გასწიოს ელექტრონული აპლიკაციის პოპულარიზაციისათვის.

კვლევამ აჩვენა, რომ კოვიდ-19-თან დაკავშირებულ უსაფრთხოების წესებს პოლიციაში, შესაძლოა, არ იცავენ. რესპონდენტები საუბრობენ, რომ პოლიციის შენობაში პირბადეები ხშირად ყველას არ უკეთია, ან თუ უკეთიათ, მოგვიანებით, გამოკითხვის შუა პროცესში იხსნიან, დისტანცია დაცული არ არის, სანიტაიზერს ყველა განყოფილებაში არ სთავაზობენ მათ და ზოგჯერ არც სიცხეს უზომავენ. შემდეგი რეკომენდაციაა, მეტი ყურადღება მიაქციოს შსს-მ საკუთარი თანამშრომლების მხრიდან კოვიდ-19 რეგულაციების დაცვას, რაც შესაძლოა განხორციელდეს შიდაუწყებრივი მონიტორინგითა და შეფასებით.

კვლევამ ასევე გამოავლინა ისეთი პრობლემები, რომლებიც პირდაპირ კავშირში არ არის პანდემიასთან და რომლებიც სავარაუდოდ მანამდეც არსებობდა და პანდემიის დასრულების შემდეგაც იდგება დღის წესრიგში, თუ კონკრეტული ნაბიჯები არ გადაიდგა მათ აღმოსაფხვრელად. ერთ-ერთი ასეთი პრობლემა, რომელიც გამომჟღავნდა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემების ანალიზისას, უკავშირდება კულტურულ ფაქტორებს, კერძოდ, სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს ოჯახში ძალადობისა და ქალი მსხვერპლების მიმართ. გამოკითხული ბენეფიციარები

ამბობდნენ, რომ პოლიცია ინდიფერენტულია ოჯახში ძალადობის საქმეების მიმართ, რაც კიდევ უფრო გაამწვავა კოვიდმა. რესპონდენტები თვლიან, რომ კოვიდის დროს კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა ოჯახში ძალადობის საქმეების მიმართ დამოკიდებულება („რა დროს ოჯახში ძალადობაა?!“). კვლევის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ ეს სტერეოტიპები კულტურის პრობლემაა. აღნიშნული პრობლემა არ ახალია, ამიტომ, რეკომენდაციაა, გაგრძელდეს გენდერული მგრძობელობის ასამაღლებელი ტრენინგები და კამპანიები შსს-ში.

პოლიციელების ფოკუს-ჯგუფიდან ამოღებული ინფორმაციის თანახმად, შემაკავებელი ორდერის გამოცემაზე მსხვერპლს ჩამოყალიბება უჭირს და ხშირად იცვლის აზრს. აუცილებელი რეკომენდაციაა, პოლიციამ შემაკავებელი ორდერის გამოცემა გადაწყვიტოს დამოუკიდებლად რისკების შეფასების კითხვარზე დაყრდნობით. მსხვერპლის პოზიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ენიჭებოდეს, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს ორდერის გასაჩივრების მექანიზმი.

კვლევის თვისებრივმა მონაცემებმა ასევე გამოავლინეს პანდემიის პირობებში პროკურატურის შეფერხებული მუშაობის ნეგატიური გავლენა საგამოძიებო პროცესზე და საპოლიციო საქმიანობაზე. კვლევიდან მიღებული ინფორმაციით, პროკურორები მხოლოდ სამ კვირაში ერთხელ ცხადდებოდნენ ოფისში და დაგვიანებით ეცნობოდნენ საქმეებს, რაც მნიშვნელოვნად აფერხებდა გამოძიების პროცესს. შემდეგი რეკომენდაციაა, შსს-მ შეისწავლოს პროკურატურასა და გამომძიებელს შორის კომუნიკაცია და შეიმუშაოს რეკომენდაციები, რათა არ მოხდეს გამოძიების გაჭიანურება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადვოკატების ფოკუს-ჯგუფიდან ასევე გამოითქვა ეჭვი, რომ რეალურად გამოძიების გაჭიანურების „პროკურორისთვის გადაბრალება“, შესაძლოა ყოფილიყო სხვაზე საკუთარი პასუხისმგებლობის გადაბრალების მცდელობა.

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლების უკმაყოფილება ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს საქმიანობის მიმართ. კოვიდ-19-ის პირობებში ფოკუს-ჯგუფში მონაწილე პირებმაც დაადასტურეს, რომ ექსპერტიზის ჩატარების პროცედურები გახანგრძლივდა და გართულდა. შესაძლოა, ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ ვერ გაატარა საჭირო ღონისძიებები კოვიდ-19-ის პანდემიის გათვალისწინებით და მათი მომსახურების ხარისხი გაუარესდა. მომდევნო რეკომენდაციაა, შსს-მ კვარტალურად შეისწავლოს და

გამომჟღავნოს საპოლიციო საქმიანობის შემაფერხებელი ფაქტორები, იზრუნოს მათ გადაჭრაზე და მოარგოს პანდემიით გამოწვეულ პრობლემებს.

და ბოლოს, სასურველია, შსს-მ გადახედოს საკუთარ პოლიტიკას, უფრო კრიტიკულად შეხედოს საპოლიციო საქმიანობის განხორციელების პროცესს და პანდემიის სპეციფიკიდან გამომდინარე, გაატაროს შესაბამისი ზომები, მათ შორის, საკანონმდებლო ცვლილებების გზითაც კი. კოვიდ-19 ჯერ დასრულებული არ არის და არ ვიცით, კიდევ რამდენ ხანს გასტანს, მით უმეტეს, როდესაც არსებობს შესაძლებლობა სხვა პანდემიების წარმოშობისაც. აუცილებელია შსს მოემზადოს განსხვავებულ რეალობაში მუშაობისთვის და ამ მუშაობაში დანერგოს ტექნოლოგიური სიახლეების გამოყენება, რაშიც ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციები დაეხმარება.

ბიბლიოგრაფია:

1. “საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში“, UNDP, ACT, თბილისი, 2013;
2. Michael Kimmel, The Gendered Society, Fourth Edition, The Gender of Violence, Oxford, 2008, pp. 381-408;
3. Richard A. Krueger, Mary Anne Casey, Focus Groups, A Practical Guide for Applied Research 5th Edition, SAGE Publications, Inc.
4. Richard A. Krueger, Mary Anne Casey, Focus Groups, A Practical Guide for Applied Research 5th Edition, SAGE Publications, Inc.
5. Hongwei Zhang, The Influence of the Ongoing COVID-19 Pandemic on Family Violence in China, Journal of Family Violence, Springer Science+Business Media, LLC, part of Springer Nature 2020;
6. <https://georgia.unfpa.org/en/news/pandemic-rages-women-and-girls-face-intensified-risks-7>;